პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია:
ტფილისი, კრუზენ. ქ. № 4,
მე-3 სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა:
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
მე-2 სართული ტელეფ. 5—43

წლის მიწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.260.000 მან. განცხადება 15 კაპ. ჩვეულებრივი ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი სტრიქონიდან.

№ 127 ოთხშაბათი 6 ივნისი, 1923 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 50,000 მან.
№ 17

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

ევროპის რეაქციონური წრეები ემზადებიან „ლურჯი ინტერნაციონალის“ მოსაწვევად. „ინტერნაციონალმა“ უნდა გააერთიანოს ფაშისტური ელემენტები.

რურის ოლქში საოკუპაციო ჯარი განაგრძობს რკინისგზელთა ოჯახების გადასახლებას.

პუანკარეს განცხადებით, საფრანგეთს საოკუპაციო ჯარის შენახვა დაუჯდა 500 მილიონი ფრანკი.

გერმანიის მრეწველთა მოთხოვნილებებს პროფკავშირმა წარუდგინა კონტრ-მოთხოვნილებები.

ხუთშაბათს, 7 ივნისს, საღამოს 6 საათზე შესდგება

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცეკას უკანასკნელ პლენუმის შესახებ.
2. მე-IV რაიონის გამშინჯავ კომისიის მოხსენება.
3. კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის თბილისის კომიტეტის მოხსენება.
4. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

ადგილობრივი თვითმოქმედება და ურთიერთ დახმარება

გადამწყვეტი მნიშვნელობა იგრედ წოდებულ აგრარულ ქვეყნებისათვის, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკებისათვის და კერძოთ საქართველოსთვის აქვს სასოფლო მეურნეობას. ეს მეურნეობა და მეურნე დღეს ფრიად ცუდ მდგომარეობაში არიან. ეს საიდუმლო აღარ არის. ხოლო მათი აღდგენის გარეშე წარმოუდგენელია ქვეყნის აღორძინება და ახალი რეჟიმის განმტკიცება. ცხადია ის შეადგენს სახელმწიფოს მზრუნველობის უმთავრეს საგანს.

საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ აღვადგინოთ ჩვენი სასოფლო მეურნეობა, წამოვაყენოთ ფეხზე მშრომელი გლეხობა და მივსცეთ მის არსებობას მტკიცე საფუძველი—ამ საკითხს მრავალი მხარე აქვს. და როგორადაც არ უნდა მივუდგეთ მის გადაჭრას პრაქტიკულათ ყველა შემთხვევაში საჭიროა მატერიალური სახსარი და კიდევ სახსარი. ვინ უნდა აღმოაჩინოს და გაიღოს ის? ცხადია, რომ პირველ რიგში სახელმწიფომ. მაგრამ ვინ არ იცის, რომ საერთო დაღარიბებისა და ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისის პირობებში სახელმწიფო სალაროს არ შესწევს საჭირო ძალა ქვეყნის ყველა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. ამის გამო ადგილობრივი ინიციატივის ამუშავება აუცილებელი ხდება განსაკუთრებით ასეთ გარდამავალ ხანაში.

ჩვენ გვსურს მივაქციოთ მკითხველების ყურადღება ერთ-ერთ სახეს ასეთი თვითმოქმედებისას, გლეხთა შორის ურთიერთ დახმარების მოწყობას. რუსეთში ამ საქმეს უკვე ორ წელიწადზე მეტი ისტორია აქვს. როგორც აგერ წინაზე ვწერდით, მესამე წელიწადია, რაც საბჭოთა რუსეთში მოქმედებენ გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები, რომელთა სახსარი იკრიბება ადგილობრივ. ამ გზით შეგროვილი თანხები გაყოფილია ორ ნაწილათ, ორი სხვა და სხვა დანიშნულებით. ერთი ნაწილი წარმოადგენს სათადარიგო, დროებით ხელშეუხებელ, ფონდს და უნდა დაიხარჯოს რაიმე საზოგადო ხასიათის უბედურების დროს, რომელიც, სიმშილის, წყალდიდობის ან, ვთქვათ, მიწის ძვრის სახით, თავს დაატყდება მოსახლეობას; მეორე კი სისტემატიურათ და მომჭირნეობით ხმარდება ამა თუ იმ მეურნეს, ამა თუ იმ გაჭირვებულს ან კერძო შემთხვევით დაზარალებულს. მაგრამ არა მარტო მატერიალურ ურთიერთ დახმარებაში გამოიხატება ამ კომიტეტების მოღვაწეობა. იმისდა მიხედვით თუ რამდენათ ძლიერი არიან ეს დაწესებულებები, ისინი აფართოებენ სფეროს თავის მოქმედებისას და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ადგილების კულტურულ განვითარებაში სკოლების, სამკითხველოების და სხ. დაარსებით

ეს საქმე ჩვენში ჯერ უცნობია. ამ მიმართულებით იწყებს პირველათ მუშაობას სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატი. მაგრამ ცხადია, რომ იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც აქვს რუსეთში გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტებს და ექნებათ მათ ჩვენშიც, ამ დაწესებულებამ უნდა ჰპოვოს ცოცხალი გამოხმაურება ქალაქებში და მას ხელი უნდა შეუწყონ სხვა დაწესებულებებმაც. თუ ოდესმე უნდა შეისხას ხორცი ჩვენმა მისწრაფებამ და არა ერთ გზობით ყრილობებზე, კრებებზე თუ ბეჭვდითი ორგანოებში გამოთქმულმა მიღებულმა აზრმა სოფლისა და ქალაქის შორის მჭიდრო კავშირის გაბმის შესახებ,— ეს უნდა მოხდეს სწორეთ ამ შემთხვევაში და ამ მუშაობას უნდა მიეცეს არა შემთხვევითი ხასიათი ან ერთდროული გატაცების ბეჭედი დაესვას მას, არამედ მან უნდა იწარმოოს თანდათანობით, შეუჩერებლათ, ის უნდა შეიქნეს ყოველდღიური მზრუნველობის საგნათ.

თავის თავათ ცხადია, რომ სიმძიმის ცენტრი მუშაობის გადატანილი უნდა იყოს ადგილებზე, სოფლათ. სწორეთ სოფლელებისაგან, მათი ენერგიის და თვითმოქმედებისაგან იქნება დამოკიდებული თუ რამდენათ მოეწყობა ეს ახალი და უაღრესათ მნიშვნელოვანი საქმე ჩვენში.

ჩვენი მოვალეობაა, მოვალეობა როგორც პარტიულ, ისე საბჭოთა ორგანოების, ხელი შევუწყოთ ამ ახალ დაწესებულებას ჩვენში და მით დავაჩქაროთ სოფლის ეკონომიურ-კულტურული აღორძინება.

წერილები კოოპერაციაზე

გაზ. „კომუნისტი“-ს 2 და 3 ივნისის ნომრებში მოთავსებული ამხ. ლენინის წერილი „კოოპერაციის შესახებ“, რომელიც დაწერილია 1923 წ. იანვრის 4 და 6. აქ ის ნათლად და ყველას გასაგებათ გადმოგვცემს კოოპერაციის მნიშვნელობას ჩვენს დღევანდელ საბჭოთა სინამდვილეში, განსაკუთრებით ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, და იმ როლს, რომელიც შეუძლია და კიდევაც უნდა ითამაშოს მან გლეხობასთან მჭიდრო კავშირის განმტკიცებასა და შემდეგ კი სოციალიზმის დამყარების საქმეში.

ჩვენმა მასწავლებელმა, ამხ. ლენინმა აქაც, როგორც სხვა ყოველ კითხვაში მოგვცა ტონი და ჩვენი ვალია ახლა შევაწყოთ მასზე ჩვენი ხმები.

ჩვენ უკვე ჩავატარეთ სამკვირეული კოოპერაციისა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ დასახული მიზანი უკვე მიღწეულია და საკმარისათ ახსნილი და განმარტებულია მისი მნიშვნელობა ჩვენი მშრომელი მასებისათვის.

ამიტომ არა თუ ზედმეტია მისი ხელ ახლა ფართოთ გაშუქება მუშათა კლასისა და განსაკუთრებით კი, ჩვენი მშრომელი გლეხობისათვის, არამედ ეს პირდაპირ სავალდებულოცაა, მით უმეტეს, რომ ჩვენ გვაქვს ერთგვარი დირექტივა — ამხ. ლენინისაგან მისი წერილის სახით „კოოპერაციის შესახებ“.

I.

აღნიშნავს რა იმას, თუ როგორი ყურადღება აქვს მიქცეული საბჭოთა ფედერაციაში კოოპერაციას და როგორია მისი მნიშვნელობა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ამხ. ლენინი ამბობს: „ძველი კოოპერატორის ოცნებაში ბევრი რამ არის ფანტასტიური. ისინი ხშირათ სასაცილო არიან თავისი ფანტაზიორობით. მაგრამ რაში მდგომარეობს ეს ფანტაზიორობა? იმაში, რომ ამ ხალხს არ ესმის ექსპლოატატორების დასამხობათ მუშათა კლასის ბრძოლის ძირითადი მნიშვნელობა. ჩვენში მოხდა ექსპლოატატორების დამხობა და ბევრი რამ იმიდგან, რაც ფანტასტიური, რომანტიული და უმსგავსო იყო ძველი კოოპერატორების ოცნებაში, აშკარა რეალობათ გადაიქცა“ („კომუნისტი“ 2 ივნისი).

რატომაა „ბევრი რამ ფანტასტიური“ „ძველი კოოპერატორის ოცნებებში“ და რატომ „ისინი ხშირათ სასაცილო არიან თავისი ფანტაზიორობით“?

ეს ნათელი და აშკარა გახდება თუ ჩვენ გავიგებთ რა სურდათ ამ „ძველ კოოპერატორებს“, რა მიზანს ისახავდენ ისინი და როგორი საშუალებით, როგორი გზით სურდათ მათ მისი მიღწევა.

კოოპერაცია (როგორც ჩვენ ვგულისხმობთ ახლა, ე. ი. ამხანაგური გაერთიანება, საურთიერთო დამხმარე საზოგადოება და სხვ.) გაჩნდა ჯერ კიდევ კაპიტალიზმის დროს და ამ უკანასკნელის ნიადაგზე. მისი გაჩენის მიზეზი იყო მშრომელი მასების და უმთავრესად კი მუშათა კლასის ძალზე უმწეო მდგომარეობა. ყველა, ვისაც კი გული შესტკიოდა მუშათა კლასზე, ეძებდა რაიმე საშუალებას მისი მდგომარეობის რადიკალურად შეცვლისათვის. ამ „მაძიებელთა“ ერთმა ჯგუფმა გამონახა ასეთ საშუალებათ სწორეთ ეს კოოპერაცია და მიიჩნია ის უებარლო იარაღათ. მათი აზრით ეს ისეთი მალამო იყო, რომელიც მოსპობდა მუშათა კლასის უმწეო მდგომარეობას, ერთი მხრით, და თვითონ კაპიტალიზმსაც, რომელიც პირველი და უმთავრესი მიზეზი იყო მუშათა კლასის ასეთი მდგომარეობის თანდათანი განვითარებით ძირს გამოუთხრიდა, მეორე მხრით. და ყველაფერი ეს, მათი აზრით, შეიძლებოდა კაპიტალიზმის პირობებში, კაპიტალიზმის ნიადაგზე და, რაც უმთავრესი და საგულისხმოა, კაპიტალიზმისავე საშუალებით. მათ წარმოუდგენიათ, რომ კოოპერაციის განვითარება მივა იქამდე, რომ ის კონკურენციით ბაზარზე დაამარცხებს მშვიდობიანი გზით კაპიტალიზმს და ამგვარად მთელი წარმოება, რომელიც დღეს კაპიტალისტურია მიიღებს კოოპერატიულ სახესა და ხასიათს. ეს კი ნამდვილი ფანტასტიური ოცნებობა იყო.

და მართლაც როგორი წესით იხელმძღვანელებდა და ხელმძღვანელობდა კიდევაც კოოპერაცია კაპიტალიზმის პირობებში? როგორი იქნებოდა და არის მართლაც კოოპერატიული წარმოება კაპიტალიზმისა და საერთოთ საქონლის წარმოების ნიადაგზე?

წარმოება კაპიტალიზმის პირობებში და კაპიტალიზმის ნიადაგზე არის უმთავრესათ და უპირველესათ კაპიტალისტური. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყველა საწარმოვო ძალები (ფაბრიკები, ქარხნები, წარმოებისთვის საჭირო იარაღები და სხვა და სხვა) კერძო პირების, ე. ი. კაპიტალისტების სრულ მონოპოლიურ მფლობელობაშია. ასეთ პირობებში რა შეუძლია გააწყოს კოოპერაციას. განა ის შესძლებს თავისუფალი კონკურენციის გზით დაამარცხოს ასეთი ვეებერთელა ორგანიზაცია კაპიტალისტებისა, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელთა განკარგულებაშია სახელმწიფო ხელისუფლება, ვინაიდან კაპიტალისტურ სახელმწიფოს მთავრობა მხოლოდ „აღმასრულებელი კომიტეტია“ მყვლეფელ კლასების. და სანამ ეს „აღმასრულებელი კომიტეტი“ მყვლეფელების ხელშია განა მისი მფარველობის ქვეშ არ იქნება მთელი კაპიტალისტური კლასი?

მაშასადამე კოოპერაციას არ შეუძლია დაამარცხოს კერძო კაპიტალი კონკურენციის საშუალებით. სხვანაირათ კი ის ვერ მიუდგება კაპიტალს. კოოპერაციაც ხომ საქონელს აწარმოებს კაპიტალიზმის დროს, ე. ი. ამზადებს პროდუქტებს სხვა პროდუქტებზე გასაცვლელათ. გაცვლა-გამოცვლა კი სწარმოებს ბაზარზე, რომელიც სრულებითაც არაა განწყობილი კოოპერაციის სასარგებლოთ. მაშასადამე ის იძულებული ხდება, როგორათაც არ უნდა სურდეს ეს მას დაემორჩილოს მის ქანაობასა და ღელვას. ერთი სიტყვით, როგორი მიზნებიც არ უნდა დაისახოს მან კაპიტალიზმის ნიადაგზე, როგორი უმწიკვლო მისწრაფებებით არ უნდა იყოს ის გამსჭვალული სუბიექტიურათ, არსებითად ვერ მოსცილდება კაპიტალიზმის გზას და უეჭველათ მას უნდა დაემორჩილოს.

და ეს განა სინამდვილეშიც ასე არ მოხდა? რას გვილაპარაკებს ჩვენ კოოპერაციის არსებობის მთელი საუკუნის ისტორია? კოოპერაციის განვითარების მთელი პრაქტიკა მე-19 საუკუნეში ევროპის ყველა ქვეყნებში იმის დამამტკიცებელია მხოლოდ, რომ კოოპერაცია უკან მისჩანჩალებს კაპიტალიზმს და ემორჩილება მის კანონებს.

მართალია კოოპერაცია დიდ როლს თამაშობდა მაშინაც მუშათა კლასის განთავისუფლების საქმისთვის, მაგრამ ეს მხოლოთ იმდენათ, რამდენათაც აკავშირებდა მშრომელ მასებს. და რამდენიმეთ მაინც ამსუბუქებდა მათ მდგომარეობას. მაგრამ მისი მიზანი მარტო ეს ხომ არ ყოფილა, მიზანი ხომ კაპიტალიზმის მოსპობა იყო. ამის მიღწევა კი მას არ შეეძლო და კიდევაც ვერ მიაღწია, როგორც ვხედავთ.

მაშასადამე „ძველი კოოპერატორის ოცნებებში“ ყოფილა ბევრი რამ არა თუ „ფანტასტიური“, არამედ ზეფანტასტიურიც კი, ვინაიდან ის, როგორც უკვე დავინახეთ, ცდილობდა სინამდვილეს და ჰაერში აგებდა კოშკებს.

ქ. კომუნაძე.

ინგლისის პოზიცია რურის საკითხში

ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ დღევანდელ პირობებში რურის საკითხში ინგლისისათვის ერთად ერთი და დასაშვები პოზიცია არის დროის შერჩევის პოზიცია. თუმცა, უნდა ითქვას, ინგლისი არც ის ხელდაკრეფილია და უმოქმედო, როგორც ეს შეიძლება ეგონოს ვინმეს.

ინგლისის პოლიტიკა რურის საკითხში არის ლოიდ-ჯორჯის პოლიტიკის გაგრძელება. ხშირათ ამბობენ, რომ ლოიდ-ჯორჯი უმთავრესად ეყრდნობოდა მსხვილ მრეწველობას („შრომისა და მრეწველობის ფედერაცია“), ბონარ-ლოუ კი—ფინანსისტთა წრეებს და სესხიანი ქაღალდების პატრონებს. ეს წრეები მეტად დაინტერესებული არიან დოლარის კურსით, მაგრამ, რომ ეს აზრი მართალიც იყოს, ის ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდა ინგლისის პოზიციაზე საკონტრიბუციო საკითხში.

1923 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში ინგლისის პოზიცია განმტკიცდა, ამ გარემოებას ხელი შეუწყო შემდეგმა ფაქტებმა: 1) ამერიკასთან ვალების შესახებ კონვენციის დადებამ, ეს ხელშეკრულება ფინანსიური თვალსაზრისით მეტად სასარგებლო იყო ინგლისისათვის, გარდა ამისა ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ ამერიკასა და ინგლისს შორის ვალების საკითხის გამო გამწვავებულ მდგომარეობას ბოლო მოეღო.

1922 წლის ბალანსი ინგლისისათვის მოგებით დამთავრდა. სახელმწიფო შემოსავალმა 109 მილიონი გირვანქა სტერლინგით გადააჭარბა ხარჯებს, მიუხედავათ იმისა, რომ ინგლისმა გადაუხადა ამერიკას ვალებს ნაწილი.

ამრიგად ინგლისს საკონტრიბუციო საკითხში დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების საშუალება აქვს. გერმანიამ კიდევაც რომ გადაიხადოს 3 მილიარდი ოქროს მარკა წელიწადში, ინგლისი ამ თანხიდან მიიღებს მხოლოდ 22 პროც., ე. ი. 33 მილიონ გირვანქა სტერლინგს წელიწადში, ეს შეადგენს ინგლისის წარსული წლის ბიუჯეტის მონარჩენის ერთ მესამედს ან მთელი ბიუჯეტის 3—4 პროც. ეს ციფრები, თავის თავად ცხადია, ვერ ითამაშებენ გადამწყვეტ როლს ინგლისის შემოსავალში.

გარდა ამისა ის გარემოება, რომ შეიარაღების მხრით საფრანგეთმა წინ გაუსწრო ინგლისს, დიდ გართულებას ჰქმნის უკანასკნელისთვის. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია კამათი თემთა პალატაში საჰაერო ფლოტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ა. | წ. 20 და 21 მარტს. სტატს-სეკრეტარის განცხადებით ინგლისს ყავს 371 პირველხარისხოვანი სამხედრო საჰაერო აპარატი, იმ დროს, როცა საფრანგეთის განკარგულებაშია 1260 აპარატი.

იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცებული იქნა საჰაერო ფლოტის მშენებლობის პროგრამა, 1925 წელში ინგლისს ეყოლება 875 სამხედრო საჰაერო აპარატი, საფრანგეთს კი 2180.

ლორდმა ბირკენჰედმა, რომელიც, სხვათა შორის, ცნობილია თავისი ფრანკოფილობით, განაცხადა, რომ „მას ვერ წარმოუდგენია თუ როგორ შეუძლია სახელმწიფოს, რომელსაც ინგლისის მართებს აუარებელი ვალი, გაატაროს შეიარაღების ასეთი დიდი პროგრამა იმ დროს, როცა მას საშუალება არა აქვს ახლო ხანში გადაიხადოს ერთი სანტიმიც კი თავისი ვალიდან“. საჰაერო მიმოსვლის საქმეთა მინისტრის ამხანაგმა სთქვა: „მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ საფრანგეთის საჰაერო სამხედრო ძალების სამი მეოთხედი საფრანგეთის ტერიტორიაზე იმყოფება, ინგლისის საჰაერო ფლოტის ორი მესამედი კი ოკეანს იქით არის გაბნეული“.

თუ ამას გარდა მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს რომ საფრანგეთის განკარგულებაში ამ ჟამად არის საუკეთესო და უფრო მეტი რიცხვი წყალქვეშა ნავებისა, ვიდრე გერმანიას ქონდა მსოფლიო ომის დროს და რომ საფრანგეთს ადვილად შეუძლია მისი ნავთსადგურებიდან წყალქვეშა ნავებით შეუტიოს ინგლისს მაშინ ნათელი იქნება საფრანგეთის სამხედრო უპირატესობა. ამიტომ ინგლისი იძულებულია დამშვიდებით უცქეროს ფრანგების ჯარების წინსვლას რურში იმ დრომდი, სანამ იმდენათ არ მართლდება მისი მდგომარეობა რომ ინგლისის ინტერვენცია (ე. ი. ინგლისის მონაწილეობა რურის ოკუპაციაში) აუცილებელი შეიქნება.

აი რატომ არა ერთხელ განაცხადა ინგლისმა, რომ ის კიცხავს საფრანგეთის მიერ მიღებულ ზომებს, რომ მას რურის ოკუპაცია საჭიროთ არ მიაჩნია, მაგრამ, მიუხედავათ ამისა ის მაინც თვლის თავისთავს საფრანგეთის მოკავშირეთ და არ მიიღებს მონაწილეობას ინტერვენციაში სანამ ეს საფრანგეთისათვის არასასურველი იქნება.

„ტაიმსი“ 19 იანვრის ნომერში სწერს:

„მრეწველობა, უმთავრესად კი რურის ოლქის მრეწველობა მეტად ნაზი მცენარეა, მას ვერ მოვთხოვთ ნაყოფს თუ ის იძულებითი კონტროლის ქვეშ იმყოფება, და განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ნაციონალური გრძნობები აღელვებულია. ამიტომ გასაკვირი არ იქნება რომ საფრანგეთმა, მცირეოდენის დაცდის შემდეგ, ხელი აიღოს იძულებითი ზომებზე და აწარმოოს ნაკლებ მკაცრი პოლიტიკა“.

22 იანვარს „დეილი ტელეგრაფმა“ უარი განაცხადა ლოიდ-ჯორჯის წერილის მოთავსებაზე, რადგან ამ წერილს მეტად ანტიფრანგული კილო ჰქონდა. „ტაიმსი“ ამის გამო სწერდა:

„თუ გერმანიის წინააღმდეგობა ეყრდნობა უცხოეთის სახელმწიფოების ჩარევის იმედზე, ეს დიდი შეცდომაა. მას არ უნდა ქონდეს ამერიკის ჩარევის იმედი“.

მეორე მხრით, ინგლისის მთავრობის პრესა მწუხარებას გამოსთქვამს იმ დაბრკოლებათა გამო, რომელნიც ხვდებიან გზაზე საფრანგეთის საოკუპაციო პოლიტიკას და ხაზს უსვამს ინგლისის ერთგულებას თავის მოკავშირისადმი.

„დეილი ტელეგრაფი“ 22 თებერვალს სწერდა:

„თუმცა ჩვენ არ ვიზიარებთ საფრანგეთის პოლიტიკას, მაგრამ როგორ მკაცრადაც არ უნდა ვაფასებდეთ ჩვენ მას, საფრანგეთი მაინც ჩვენი მოკავშირეა. ეს ჩვენთვის უმთავრესია და არაფერმა არ უნდა დაარღვიოს ჩვენი მეგობრული ურთიერთობა. საფრანგეთის უფლება, ჩვენი თვალსაზრისით, უდავოა“.

ბონარ-ლოუს მიერ ამ საკითხზე თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვა ასეთივე ხასიათის იყო.

მთავრობის ასეთ პოზიციაზე ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ვერც რადიკალური და ვერც ოპოზიციონური გაზეთების ენერგიული კილო.

„ნიუ სტეიტ მენ“ მაგალითად სწერს: „.... მართალია, რასაკვირველია, ის, რომ საფრანგეთი ჩვენი ყველაზე საშიში მტერია. ვინ გაბედავს ამის უარყოფას თუგინდ ჩვენი კრიტიკოსების წრიდან? ვინ მიგვითითებს უფრო რეალურ და უფრო საშიშ მტერზე? შეიძლება თუ არა თვით მოსკოვშიც ნახოთ ისეთი გაზეთი, რომელიც ასე სასტიკად ილაშქრებდეს ჩვენს წინააღმდეგ როგორც საფრანგეთის პრესა? შეიძლება თუ არა ერთი რომელიმე მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხის დასახელება ევროპაში ან ევროპის გარეთ, რომელშიც საფრანგეთის ინტერესები დიამეტრულად არ ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს ინტერესებს, ან რომელშიც საფრანგეთის მთავრობა არ ცდილობდეს აშკარად ჩვენს დამარცხებას, როგორც ლოზანაში და ან ფარულათ არ უშლიდეს ხელს ჩვენს ყოველგვარ ღონისძიებებს? შეიძლება თუ არა დავა იმის შესახებ, რომ საფრანგეთი ერთად ერთი დაბრკოლებაა ნამდვილი ნაციათა ლიგის შექმნის და საყოველთაო განიარაღების გზაზე? რატომ არ უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ ამის შესახებ, საფრანგეთი ხომ დიდი ბრიტანეთის მტერია?

მიუხედავათ ოპოზიციის გაძლიერებისა, მთავრობის პოლიტიკა არ შეცვლილა. ვინაიდან საფრანგეთმა მრავალჯერ განაცხადა, რომ ყოველგვარ ჩარევას საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტში არა მეგობრულ აქტად ჩათვლის, ბრიტანეთის მთავრობა მუდამ უარს ამბობდა ჩარევაზე, მაგრამ ამავე დროს აცხადებდა, რომ მზად არის ჩაერიოს, როგორც კი ამას საჭიროდ დაინახავს ორივე მხარე. მარტის შუა რიცხვებში ინგლისმა ოფიციალურად უარყო ხმები თითქო ინგლისი აპირებს რურის კონფლიქტში ჩარევას და განაცხადა, რომ გერმანიამ ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უნდა გადადგას.

ოპოზიციის ინიციატივა, რომელსაც სასურველად მიაჩნდა ამ კითხვით ნაციათა ლიგისათვის მიმართვა, უარყოფილი იქნა. სტატს-სეკრეტარმა მაკ-ნეილმა, რომელიც ცნობილია თავისი ფრანკოფილობით, სთქვა: „ნაციათა ლიგის მნიშვნელობა არ შეუფასებია მტკიცეთ საზოგადოებრივ აზრს, ამიტომ ყოველივე ცდა ნაციათა ლიგის მხრივ მოახდინოს ამ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია, მარცხით დამთავრდება“.

მეორე მხრით, ინგლისის მთავრობა არც ისე ინერტიულია, როგორც შეიძლება წარმოიდგინოთ. იმიტომ რომ ის ოფიციალურად უარს ამბობს ჩარევაზე. ინგლისმა მოახერხა უფრო და უფრო განეცალკევებია საფრანგეთი.

იტალია არ იღებს რეალურ მონაწილეობას რურის ოკუპაციაში და მან კატეგორიულად უარყო ყოველგვარი შესაძლებლობა ინგლისის წინააღმდეგ საფრანგეთ-იტალია-ბელგიის და გერმანიის კონტინენტალური ბლოკის შექმნისა. ინგლისმა ლოზანის კონფერენციაზე მოახერხა ისე წაეყვანა მოლაპარაკება, რომ კონფერენცია ჩაიშალა საფრანგეთის მოთხოვნილებების გამო. ბელგიაზე ინგლისმა მოახდინა გავლენა, ამის შედეგი იყო პუანკარეს [illegible]. ეჭვს გარეშეა, რომ გერმანიის წინააღმდეგობა მოიწონეს ინგლისში, თუმცა ამას არ აღიარებენ. რაც შეეხება ამერიკას, ამ მხრივ ის სავსებით ეთანხმება ინგლისს.

მეორე მხრით ინგლისის მთავრობა თავისი გაზეთების კორესპონდენტების საშუალებით ავრცელებს ხმებს, რომ საფრანგეთი მზად არის დაიწყოს მოლაპარაკება.

„ტაიმსი“ მაგალითად 14 მარტს სწერდა:

„დრო, როცა ინგლისს მოუწოდებენ მიიღოს მონაწილეობა რურის საკითხის გადაწყვეტაში, ახლოვდება... ინგლისი მოამზადებს ნიადაგს საკითხის ისე გადასაჭრელად, როგორც ეს მის ინტერესებს შეეფერება“.

ე. ვარგა.

ჩვენი რევოლუციის შესახებ

(ნ. სუხანოვის წიგნის გამო. *)

I

ამ დღეებში გადავფურცლე სუხანოვის წიგნი რევოლუციის შესახებ. თვალში გვეცემა ყველა ჩვენი წვრილბურჟუაზიული დემოკრატების, ისე როგორც მეორე ინტერნაციონალის ყველა გმირების, პედანტობა. რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ისინი მეტად მხდალები არიან, რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, რომ უკეთესები მათგან თავს იყოლიებენ სხვა და სხვა „არგუმენტებით“, რომ არ ვილაპარაკოთ ყველა წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატების ამ თვისებაზე, რომელიც საკმაოთ გამოიჩინეს მათ მთელი რევოლიუციის მანძილზე, თვალში გვეცემა მათი მონური მიმბაძველობა წარსულისადმი.

ისინი ყველა თავის თავს მარქსისტებს უწოდებდენ, მაგრამ მარქსიზმი არაჩვეულებრივ პედანტიურათ ესმით. გადამწყვეტი მომენტი მარქსიზმში მათ სრულიად ვერ შეამჩნიეს, სახელდობრ მისი რევოლიუციონური დიალექტიკა. თვით მარქსის პირდაპირი მითითება იმაზე, რომ რევოლიუციის მომენტებში საჭიროა მაქსიმალური ელასტიურობა, მათ სრულიად არ გაუგიათ და არც შეუმჩნევიათ, მაგალითად, მარქსის მითითება მიწერ-მოწერაში, რომელიც, როგორც მახსოვს, ეკუთვნის 56 წელს, როცა ის [illegible] გერმანიაში გლეხური ომის,—რომელსაც შეეძლო შეექმნა რევოლიუციონური პირობები,—მუშათა მოძრაობასთან შეერთებაზე—თვით ამ პირდაპირ მითითებას ისინი გვერდს უვლიან და უტრიალებენ გარშემო, როგორც კატა ცხელ ფლავს.

მთელი თავისი მოქმედებით ისინი ნათელყოფენ თავის რეფორმისტულ სიმხდალეს, რომელთაც აშინებთ ბურჟუაზიისაგან ჩამოშორება და მით უფრო მასთან კავშირის გაწყვეტა და ამავე დროს თავის სიმხდალეს ფარავენ ალვირ წასხნილი ფრაზეოლოგიით და ტრაბახით. მაგრამ თვით წმინდა თეორიულადაც მათში თვალში გვეცემა ის, რომ მათ არ შესწევთ ძალა გაიგონ მარქსიზმის შემდეგი მოსაზრებები: დღემდი ისინი ხედავდენ დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმის და ბურჟუაზიული დემოკრატიის განვითარების გარკვეულ გზას. და აი მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ ეს გზა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ სანიმუშოთ ზოგიერთი შესწორებების შეტანის გარეშე (რომლებიც მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით მეტად უმნიშვნელოა).

პირველი—რევოლუცია, რომელიც დაკავშირებულია მსოფლიო იმპერიალისტურ ომთან. ასეთ რევოლუციაში, სწორედ ომის გამო, უნდა აღმოჩენილიყო ახალი ან სახეშეცვლილი თვისებები, იმიტომ, რომ არასოდეს დედამიწის ზურგზე ასეთი ომი, ასეთ პირობებში ჯერ არ ყოფილა. დღემდე ჩვენ ვხედავდით, რომ ომის შემდეგ უმდიდრესი ქვეყნების ბურჟუაზია ვერ ახერხებდა „ნორმალური“ ბურჟუაზიული ურთიერთობის დამყარებას, ჩვენი რეფორმისტები, წვრილი ბურჟუები, რომლებსაც რევოლიუციონერებათ მოაქვთ თავი თვლიდენ და თვლიან საზღვრათ (რომლის გადალახვა შეუძლებელია) ნორმალურ ბურჟუაზიულ ურთიერთობას,— ეს „ნორმა“ კი მეტად ვიწროთ და შაბლონიურად ესმით.

მეორე—მათთვის სრულიად უცხოა ის აზრი, რომ მსოფლიო ისტორიის განვითარების საერთო კანონშეწონილობით სრულიად არ არის უარყოფილი, არამედ ნაგულისხმევია განვითარების ცალკე პერიოდები, რომლებიც თავისებურობას წარმოადგენენ ან ფორმით, ან განვითარების წესით. მათ, მაგალითად, თავშიც არ მოსდით ის, რომ რუსეთს, რომელიც დგას ცივილიზაციური და ამ ომით ცივილიზაციაში საბოლოოთ ჩაბმული აღმოსავლეთის და ევროპის გარეშე ქვეყნების საზღვარზე, ამიტომ შეეძლო და უნდა გამოეჩინა ზოგიერთი თავისებურობანი, რომლებიც, რასაკვირველია, განვითარების საერთო ხაზით მიმდინარეობენ, მაგრამ ანსხვავებენ მის რევოლიუციას დასავლეთ-ევროპის ყველა წინა რევოლიუციისაგან და შეაქვთ ნაწილობრივ ახალი რამ აღმოსავლეთის ქვეყნებში გადასვლის დროს.

მაგალითად, უსაზღვროთ შაბლონურია მათი საბუთი, რომელიც მათ ზეპირათ აქვთ შესწავლილი დასავლეთ-ევროპის სოც-დემოკრატიის განვითარების დროს და რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ არ მოვმწიფებულვართ სოციალიზმისათვის, რომ ჩვენში არ არის, როგორც ამას ამბობენ ზოგიერთი „სწავლული“ ბატონები მათი წრიდან, ობიექტიური ეკონომიური წინასწარი პირობები სოციალიზმისათვის. და არც ერთ მათგანს არ მოსდის თავში შეეკითხოს თავის თავს: განა არ შეეძლო ხალხს, რომელიც შეხვდა რევოლიუციონურ სიტუაციას, ისეთს, რომელიც შექმნა პირველი იმპერიალისტური ომის დროს, განა არ შეეძლო მას, თავისი მდგომარეობიდან გამოსავალის უქონლობის გამო, ჩაბმულიყო ისეთ ბრძოლაში, რომელიც ერთგვარ შანსებს აძლევდა მოეპოვებინა თავისათვის ცივილიზაციის ზრდის არა სავსებით ჩვეულებრივი პირობები.

„რუსეთს არ მიუღწევია საწარმოო ძალების განვითარების იმ სიმაღლემდე, როცა შესაძლებელია სოციალიზმი“. ეს დებულება აკვიატებული აქვთ მეორე ინტერნაციონალის გმირებს და მათ რიცხვში სუხანოვსაც.

ამ უდავო დებულებას ისინი ღეჭენ ათას გვარად, მე კი მგონია, რომ ის გადამწყვეტია ჩვენი რევოლიუციის დასაფასებლათ.

მაგრამ რა ვქნათ თუ, პირველ ყოვლისა მსოფლიო იმპერიალისტური ომის დროს, რომელშიც ჩარეული იყვნენ ოდნავ მაინც გავლენიანი დასავლეთ-ევროპის სახელმწიფოები, მდგომარეობის თავისებურებამ ჩააყენა მისი განვითარება აღმოსავლეთში უკვე დასაწყისის პირზე მდგომ და ნაწილობრივ დაწყებული რევოლიუციების საზღვარზე ისეთ პირობებში, როცა ჩვენ შეგვეძლებოდით განგვეხორციელებინა ის კავშირი „გლეხური ომისა“ და მუშათა მოძრაობას შორის, რომელზედაც, როგორც ერთ ერთ შესაძლებელი პერსპექტივის შესახებ სწერდა 56 წელს პრუსიის მიმართ ასეთი „მარქსისტი“, როგორიც იყო მარქსი?

რა ვქნათ, თუ მდგომარეობიდან გამოსავალის უქონლობა ათკეცებდა მუშების და გლეხების ძალებს და უჩვენებდა მათ ცივილიზაციის ძირითადი პირობების შექმნისათვის სხვა გზების შესაძლებლობას, ვიდრე დასავლეთ ევროპის ყველა სხვა სახელმწიფოებში? შეიცვალა თუ არა ამით მსოფლიო ისტორიის განვითარების ძირითადი ხაზი? შეიცვალა თუ არა ამით ძირითადი კლასების ძირითადი ძალთა განწყობილება თითეულ სახელმწიფოში, რომელიც ებმება და ჩაბმულია მსოფლიო ისტორიის საერთო ფერხულში?

თუ სოციალიზმის შესაქმნელათ საჭიროა განსაკუთრებული კულტურული დონე (თუმცა ვერავინ ვერ იტყვის თუ როგორია ეს კულტურის „განსაზღვრული დონე“), მაშინ რატომ არ შეიძლება დავიწყოთ პირველათ რევოლიუციონური გზით ამ განსაზღვრული დონისათვის წინასწარი პირობების მოპოვებიდან, და შემდეგ მუშურ-გლეხური ხელისუფლების და საბჭოთა წყობილების ნიადაგზე გავსწიოთ სხვა ხალხების დასაწევათ.

ნ. ლენინი.

16 იანვარი 1923 წ.

II.

სოციალიზმის შესაქმნელათაო,—ამბობთ თქვენ,—საჭიროა განათლება. მაშ რატომ არ შეგვეძლო ჩვენ შეგვექმნა ცივილიზაციის ისეთი წინასწარი პირობები ჩვენში, როგორიც არის მემამულეების და რუსეთის კაპიტალისტების განდევნა და შემდეგ დაგვეწყო სოციალიზმისაკენ სვლა? რომელ წიგნებში ამოიკითხეთ თქვენ, რომ ჩვეულებრივი ისტორიული წესების ასე შეცვლა დაუშვებელი ან შეუძლებელია?

როგორც მახსოვს, ნაპოლეონი სწერდა: „On s'engage et puis on voit“.

ჩვენებურათ რომ ვთქვათ — ეს ნიშნავს: „ჯერ უნდა ჩაება სერიოზულ ბრძოლაში და შემდეგ ვნახოთ“. და აი, ჩვენც 1917 წ. ოქტომბერში ჩავებით სერიოზულ ბრძოლაში და იქ დავინახეთ განვითარების ისეთი დეტალები (მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით ეს ეჭვს გარეშეა, დეტალებია) როგორიცაა მაგალითად ბრესტის ზავი ან ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სხვა, და ამ ჟამად უკვე ნათელია, რომ მთავარში ჩვენ გავიმარჯვეთ; ჩვენს სუხანოვებზე, მასზე მარჯვნივ მდგომ სოციალ-დემოკრატებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, არც დასიზმრებიათ, რომ სხვანაირად რევოლიუციები არ კეთდება, ჩვენს ევროპიულ მეშჩანებს არც ესიზმრებათ, რომ შემდეგი რევოლიუციები აღმოსავლეთის ქვეყნებში უფრო მდიდარი მოსახლეობით და სოციალური პირობების უფრო მეტი სხვადასხვაობით, დაანახვებენ მათ, ეჭვს გარეშე, უფრო მეტ თავისებურობას, ვიდრე რუსეთის რევოლიუცია.

ლაპარაკი არ შეიძლება, კაუცკის მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელო, თავის დროზე მეტად სასარგებლო იყო. მაგრამ დროა უარი ვთქვათ იმაზე, თითქო ამ სახელმძღვანელოთი გათვალისწინებულია მსოფლიო ისტორიის შემდეგი განვითარების ყველა ფორმები. მათ, რომლებიც ასე ფიქრობენ, დროა პირდაპირ სულელები უწოდოთ.

ნ. ლენინი.

17 იანვარი, 1923 წ.

---

*) ეს ორი ნაწყვეტი გადმოგვცა ჩვენ ამხ. ულიანოვა-კრუპსკაიამ. ორიგინალში სათაური არ არის აღნიშნული და არც რომაული ციფრები (I და I).
„პრავდა“—რედაქცია.

მომავლის იარაღი

ამხ. ტროცკის წერილი

მოსკოვი. 5 ივნისი. დღეს გაზეთებში მოთავსებულია ამხ. ტროცკის წერილი: „მომავლის იარაღი“.

„ავიაციის განვითარება დაიწყო ომის დროს, ომის დასასრულისათვის ავიაციამ არაჩვეულებრივ შედეგებს მიაღწია. რომ დღეს ხელახლა დაიწყოს ომი, სამხედრო ოპერაციების სურათი სრულიად შეიცვლებოდა. ამ მხრივ ავიაცია სავსებით მომავლის იარაღია, საჰაერო ფლოტის კულტურული სარგებლობა მხოლოდ ახლა იჩენს თავს. ჩვენთვის, ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი ქვეყნისათვის მინუსი კი არა პლიუსი იქნება, თუ ჩვენ თავის დროზე ვისარგებლებთ ცენტრალისტურად მოწყობილი სოციალისტური საზოგადოების უპირატესობით, ხელს მოვკიდებთ საქმეს, მაშინ ჩვენ ავიაციაში შევძლებთ ჩვენი ჩამორჩენილობის უფრო ადრე დაძლევას, ვიდრე სხვა რომელიმე დარგში.

ავტომობილებისათვის საჭიროა გზატკეცილები, ჩვენ კი ასეთები ცოტა მოგვეპოვება. საჰაერო გზები კი ჩვენში ამერიკულ გზებზე უარესი არ არის. ჩვენ უნდა ჩავებათ საერთო ფერხულში; ავაგოთ საჭირო აპარატები, შევეგუოთ ისინი ჩვენს კლიმატიურ პირობებს, დამოუკიდებლათ დავამუშაოთ ტეხნიკური და სამიმოსვლო ტრანსპორტი, გამოვარჩიოთ შესაფერი ფიზიკური მასალა, აღვზარდოთ ის და განვავითაროთ.

მაგრამ სანამ ცისკენ აფრინდებოდეს, ავიაცია მტკიცედ უნდა დაემყაროს ხმელეთს მიწას, მასებს. ამ მიზანს ემსახურება პირველ ყოვლისა „ავიაციის კვირა“. საჭიროა, რომ მშრომელი უფრო ახლო მივიდეს საჰაერო აპარატთან, ნახოს ის, გაიგოს მისი მექანიკა, დაინახოს მასში მომავლის მძლავრი იარაღი, თორემ ადრე თუ გვიან ავიაცია მის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.

იმისათვის, რომ მტრის ავიაცია შეტაკების დროს არ იყოს შემოსილი მისტიური შარავანდედით, რომელსაც შეუძლია პანიკა გამოიწვიოს, საჭიროა მშვიდობიან დროში არმიისა და ავიაციის დაახლოება, ავიაციის დანათესავება არმიასთან და მის სხვა და სხვა ნაწილებთან.

მაგრამ ეს არის არა მარტო არმიის საქმე, საჰაერო აპარატები მრავალი ასეული ვერსით სცილდებიან თავის ბაზას, იჭრებიან შორს მტრის ზურგში, თუ არმიის იარაღი მიმართულია მტრის ჯარების წინააღმდეგ, ავიაციას ზიანი მოაქვს არა მარტო მტრის ჯარებისათვის, არამედ მშვიდობიან მცხოვრებთათვისაც. ზურგის სიმტკიცე მტრის ავიაციის წინაშე მით უფრო დიდი იქნება, რამდენათაც ის გაიცნობს ავიაციის თვისებებს. ავიაცია იმპერიალიზმის იარაღია. ჩვენ ვაშენოთ ავიაცია სამეურნეო, კულტურული და სამხედრო მიზნებისათვის, ავაშენოთ მშრომელთა და დაჩაგრულთა ავიაცია! მუშაობა ავიაციის ასაშენებლათ უნდა ვაწარმოოთ არა მარტო ცენტრალურათ, შეთანხმებულად, არამედ მიზანშეწონილადაც. მასების ინტერესს ავიაციისადმი, მათ სათანადო დახმარებას ორგანიზაციული კალაპოტი უნდა მივცეთ.

სახელმწიფო უწყება ამ საქმეში არ არის მარტო, მათთან ერთად მუშაობს „ავიაციის მეგობართა საზოგადოება“ და „მოხალისე საჰაერო ფლოტი“. ეს სამივე კავშირი უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება, „ავიაციის კვირა“ პარტიის საშუალებით შეაკავშირებს მას მასასთან და შეიტანს ახალ ბრწყინვალე ფურცლებს საბჭოთა ავიაციის განვითარების ისტორიაში“.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

პუანკარეს „გამარჯვება".

პარიზი. 5 ივნისი. გაზეთი „ობსერვერ"-ი სწერს, რომ რურის ოპერაციები დაწყებული იყო ძალადობის მოხდენის და ბრმა ტირანიის შემოღების მიზნით, გაზეთის აზრით რურის ოპერაციამ მიგვიყვანა მხოლოდ ფინანსიურ კრახამდე და პოლიტიკურ კატასტროფამდე.

გაფიცვის ხელმძღვანელების დაპატიმრება.

ბერლინი. 5 ივნისი. დორტმუნდში და ბოხუმში პოლიცია განაგრძობს გაფიცვის ხელმძღვანელების დაპატიმრებას.

ვუპერის განაპირა ადგილებში.

ბერლინი. 5 ივნისი. მდ. ვუპერის განაპირა ადგილებში საგაფიცვო მოძრაობა ფართოვდება.

საბაჟოს მოსამსახურეების გადასახლება.

ბერლინი 6 ივნისი. რეინლანდის მოკავშირეთა კომისიის ბრძანების თანახმად, 26 დან 29 მაისამდე მაინციდან გადასახლებულია საბაჟოს 884 მოსამსახურე და რკინის გზელები. კელნის რკინისგზელებს ღამის 2 საათზე უბრძანეს დაუყოვნებლივ გასრულიყვნენ დაკავებულ რაიონიდან. გადასახლებულ რკინისგზელთა ჯგუფში შედიან მათი ოჯახების წევრთაგან 67 ბავშვი—4 წლის ასაკიდან და 59—9-დან—10 წლის ასაკამდე. გადასახლებულები ვალდებული არიან ავეჯეულობა დასტოვონ ბინაზე.

კატასტროფა რკინისგზაზე.

ბერლინი. 5 ივნისი. საფრანგეთ-ბელგიის რეჟიმმა რკინისგზებზე ოკუპაცია ქმნილ ოლქებში სახელი გაითქვა მუდმივი კატასტროფებით რკინისგზაზე. შეტაკებები ხდება ნახშირისა და სამგზავრო მატარებლებს შორის. გერმანიის სტატისტიკური ცნობებით, ოკუპაციის განმავლობაში მატარებლების დამსხვრევას 62 შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

რამდენად იცრუა პუანკარემ.

ბერლინი. 5 ივნისი. ოფიციალური ჟურნალი „ოფის დი ოტილს"-ი იტყობინება, რომ საფრანგეთი რურიდან ყოველდღიურად ღებულობდა თებერვალში—700 ტონ ნახშირს, მარტში 477 და აპრილში (გამოტოვებულია) ტონ ნახშირს.

თუ შევუფარდებთ ამ ციფრებს პუანკარეს განცხადებას დეპუტატთა პალატაში, რომელშიაც ის აღნიშნავს, რომ საფრანგეთი საშუალოდ რურიდან ღებულობდა 6-დან 11.000 ტონ კოქსამდე, მაშინ აღმოჩნდება თუ რამდენად აზვიადებს პუანკარე რურის ოკუპაციის მნიშვნელობას.

საკონტრიბუციო საკითხი

გერმანიის მთავრობა არ ადგენს კონტრიბუციის საერთო ჯამს.

ლონდონი. 5 მაისი. როგორც გადმოგვცემს „დეილი მეილი"-ს ბერლინელი კორესპონდენტი, გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა არ შეადგინოს საკონტრიბუციო გადასახადის საერთო ჯამი და აგრეთვე კონტრიბუციის გადახდის წესის საკითხები ექსპერტთა კომისიას გადასჭრელად. კორესპონდენტი აგრეთვე იტყობინება, რომ შესაძლებელია 25 მილ. წლიურად 10 წლის განმავლობაში უზრუნველყონ გერმანიის საქმიანმა წრეებმა.

ბალდვინის განცხადება.

ლონდონი. 5 ივნისი. ბალდვინმა განუცხადა „პტი-პარიზიენ"-ის კორესპონდენტს, რომ მისი აზრით, საფრანგეთი და ინგლისი შესძლებენ საერთო ხაზის გამონახვას საკონტრიბუციო საკითხში, რომ ეს საკითხი ისე ყოფილიყო დასმული, როგორც ინგლისის ვალების საკითხი იყო დასმული ინგლის-ამერიკის მოლაპარაკების დროს.

ახალი ცდები.

პარიზი. 5 ივნისი. ინგლისის გაზეთების აზრით, მახლობელ კვირაში მოსალოდნელია ახალი ცდები საკონტრიბუციო საკითხის გამო შექმნილ ქაოსიდან გამოსასვლელად

პუანკარე მზათ არის ბალდვინთან მოსალაპარაკებლად.

პარიზი. 5 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, პუანკარე მზათ არის განიხილოს საკონტრიბუციო საკითხი, რისთვისაც ბალდვინი ახლო მომავალში გაემგზავრება პარიზში. „პტი-პარიზიენ"-ის აზრით, საეჭვოა, რომ ბალდვინი და პუანკარე შესძლებენ ინგლისის და საფრანგეთის ინტერესების შერიგებას. გაზეთი დადებით შედეგებს არ მოელის პრემიერების შეხვედრიდან.

გერმანელ მრეწველთა მოთხოვნილებების წინააღმდეგ

პროფკავშირების ხმა.

ბერლინი. 3 ივნისი. დღეს, სამი კვირის მსჯელობის შემდეგ გერმანიის პროფკავშირებმა ვრცელი მემორანდუმით უპასუხეს გერმანელ მრეწველთა მემორანდუმზე. პროფკავშირების მემორანდუმი აღნიშნავს, რომ მრეწველების მიერ წამოყენებული გარანტიები საკმაო არ არის. მრეწველებს გადაჭარბებული წარმოდგენა აქვთ სახელმწიფოს გადახდის უნარიანობაზე და არ სურთ შესაფერად დააფასონ კერძო პირების გადახდის უნარიანობა. მემორანდუმი პროტესტს აცხადებს ეკონომიური ხასიათის იძულებითი ზომების, მშრომელთა მონაპოვარის ხელყოფის და მრეწველთა ცდის წინააღმდეგ კონტრიბუციების გადახდის მთელი სიმძიმე გადაიტანონ მუშათა კლასის ზურგზე. თუ 8 საათის სამუშაო დღე გაუქმებული იქნა, მემორანდუმი იმუქრება ბრძოლის დაწყებით მემორანდუმი აცხადებს: „მუშათა კლასი არ დასთმობს 8 საათის სამუშაო დღეს".

მაგრამ მემორანდუმს არა აქვს გაბედული კილო, ის არ შეიცავს მოწოდებას მრეწველთა მემორანდუმის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ. თვით სტინესის ორგანო „დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგს" სიამოვნებით შეხვდა მემორანდუმს და სავსებით იზიარებს მის აზრს მრეწველების და პროფკავშირების თანამშრომლობის და საგადასახადო პოლიტიკის შესახებ. გაზეთი ცდილობს დაარწმუნოს პროფკავშირები, რომ მრეწველების მოთხოვნილებები სამართლიანია.

გერმანია და ანტანტა

„სამართლიანი" ინგლისი ნერვიულობს.

ბერლინი. 3 ივნისი. ახალი კაბინეტის შედგენის გამო ინგლისის პრესა კვლავ იხილავს სარეპარაციო საკითხს.

„ობსერვერის" აზრით დადგა დრო, როცა ინგლისი აქტიურად უნდა გამოვიდეს რეპარაციების საკითხში. „ინგლისი ვერ მოითმენს მეტს ევროპაში არევ-დარევას". გაზეთი აფრთხილებს გერმანიას, რომ მას არ უნდა ქონდეს ინგლისსა და საფრანგეთს შორის უთანხმოების იმედი, საჭიროა გამორკვეულ იქნეს კონტრიბუციების ჯამი და მიღებულ უნდა იქნეს ზომები მის დაჩქარებით ასაღებად.

გაზეთის ცნობით ბალდვინი იღებს ინიციატივას ამ საკითხში.

ლოზანის კონფერენცია

კონცესიების საკითხზე მსჯელობენ.

პარიზი 5 ივნ. გუშინ ლოზანაში შესდგა მოკავშირე დელეგაციების თავმჯდომარეთა კერძო თათბირი, რომელზედაც მსჯელობა იყო უცხო სახელმწიფოთა კონცესიების შესახებ ოსმალეთში.

საბერძნეთ-ოსმალეთის შეთანხმებისათვის.

პარიზი. 5 ივნისი. გუშინ ღამით შესდგა პოლიტიკურ კომისიის სხდომა, რომელზედაც საბოლოოდ გამომუშავებულ იქნა შეთანხმება კარაგაჩის რაიონის ოსმალეთ-საბერძნეთის საზღვრების შესახებ.

პოლონეთ-ოსმალეთის მოლაპარაკება.

პარიზი. 5 ივნ. „ტანის" ცნობებით პოლონეთისა და ოსმალეთის მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს.

მოკავშირეები ეჩქარებიან.

პარიზი. 5 ივნისი. „ტანის" ცნობებით მოკავშირეების დელეგაციებმა განუცხადეს ისმეტ ფაშას, რომ მათ სურთ, რომ მოლაპარაკება მიმდინარე კვირაში იქნეს დამთავრებული.

ოსმალეთის ევროპიული საზღვრები.

პარიზი 5 ივნისი. მოკავშირეების დელეგაციებმა დაადგინეს მდ. მორიცა ჩაითვალოს ოსმალეთის ევროპიულ საზღვრად.

ელოდებიან ბურჟუაზიული მსოფლიოს ბურჯებს.

ბერლინი 2 ივნისი. ბერლინის გაზეთის ლოზანელი კორესპონდენტები იტყობინებიან, რომ საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა მოხდება არა უგვიანეს 15 ივნისისა, თუ არ წარმოიშვა ახალი დაბრკოლებები. ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად ლოზანაში მოელიან კერზონს, მუსოლინის და პუანკარეს. ბრიტანეთის დელეგაციამ არა ოფიციალურ მოლაპარაკებაში ოსმალეთის დელეგაციასთან განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთი მზად არის დასცალოს სტამბოლი მას შემდეგ, როგორც კი ხელშეკრულება დამტკიცებული იქნება ოსმალეთის და ერთ-ერთ მოკავშირე სახელმწიფოს მიერ.

ინგლისელები ემზადებიან ევაკუაციისათვის.

გონოვერი 3 ივნისი. ლონდონიდან მიღებული ცნობებით, ინგლისის ხელისუფლება ამზადებს სტამბოლიდან ინგლისის ჯარების ევაკუაციას, საზავო ხელშეკრულების დადების მოლოდინში.

ახლო აღმოსავლეთში

ბანდიტიზმი ლივანში

ანგორა. 4 ივნისი. სირიის გაზეთების ცნობით ლივანში უკანასკნელ ხანებში ძლიერდება ბანდიტიზმი.

ოსმალო ქალები მოითხოვენ პოლიტიკურ უფლებებს

ანგორა, გაზ. „ვაკიტის" ცნობით ოსმალო ქალები სტამბოლში იწვევენ კონგრესს, რომელზედაც მოითხოვენ პოლიტიკურ უფლებებს

დიპლომატიური ურთიერთობის განახლება

ანგორა. 4 ივნისი. სტამბოლის გაზეთების ცნობით დიპლომატიური ურთიერთობა ოსმალეთსა, სერბიასა და ბულგარეთს შორის განახლდა.

იბრძოლებენ სამშობლოს განთავისუფლებლათ

ანგორა. 4 ივნისი. ადანიდან „ატაკი ისკანდერუს" საზოგადოებამ ქემალ-ფაშას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: „ხუთასი ათასი ახალგაზრდა მზად არის განაგრძოს ბრძოლა ოსმალეთის გასანთავისუფლებლათ. დარწმუნებული ვართ, რომ თქვენ შეასრულებთ დაპირებას ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების შესახებ".

კიდევ ერთი დაბრკოლება აცილებულია

ლონდონი. 4 ივლისი. ოსმალეთის დელეგაცია დასთანხმდა მოკავშირეების წინადადებაზე გამოაქვეყნოს დეკლარაცია, სადაც ოსმალეთის მთავრობა ჩამოთვლის იმ პრივილეგიებს, რომელსაც ოსმალეთი მისცემს უცხოელებს ხუთი წლის ვადით.

გარშემორტყმული პატრიარქი

პატრიარქ მელეთით უკმაყოფილო ბერძნებმა ალყა შემოარტყეს პატრიარქის სასახლეს სტამბოლში და საწინააღმდეგო მანიფესტაცია გამართეს. პატრიარქის დასახმარებლად მოვიდა საფრანგეთისა და იტალიის ჟანდარმერია, რომელმაც გარეკა ბერძნები. პატრიარქმა პროტესტით მიმართა მოკავშირეებს ბერძნულ მოსახლეობის მისდამი მტრულად განწყობილების გამო. როგორც „ტანი" იტყობინება, მოკავშირეებმა აცნობეს ანდრე ბეის, რომ თუ ასეთი განწყობილება პატრიარქისადმი კიდევ განმეორდა, მაშინ ისინი იძულებული იქნებიან გადააყენონ ოსმალეთის პოლიცია და თვითონ დაიცვან სტამბოლი.

საფრანგეთი და ინგლისი

შეთანხმდენ

ბერლინი, 3 ივნისი. „პტი-პარიზიენ"-ის ცნობით, ლონდონში საფრანგეთის ელჩის და კერზონს შორის მოხდა შეთანხმება საარის კომისიის განკარგულების შესახებ, რომლითაც შემოღებული იქნება წესრიგის დასაცავად ისეთი წესები, რომლებიც წარმოადგენენ გერმანიის რესპუბლიკის დაცვის კანონების ასლს.

უფსკრული ინგლისსა და საფრანგეთს შორის.

ბერლინი. 3 ივნისი. პილიპ მილიე „პტი პარიზიენ"-ში აყენებს საკითხს, შეიძლება თუ არა საფრანგეთის პოლიტიკის ძირითადი პრინციპების შეუცვლელად ინგლისს და საფრანგეთს შორის არსებული უფსკრულის ამოვსება.

პოლონეთის ახალი მთავრობა

ახალი სეიმის შემადგენლობა.

კოვნო 1 ივნისი. უმაღლესმა საარჩევნო კომისიამ საბოლოოდ გამოარკვია ახალი სეიმის შემადგენლობა: დემოკრატიული ბლოკი—10 დეპუტატი, ხალხოსნური—16, სოციალ-დემოკრატები 8, ებრაელები—7, პოლონელები—4, რუსები—1, გერმანელები—2. სეიმი შეიკრიბება 5 ივნისს.

ვიტოშის დეკლარაცია.

ვარშავა. 4 ივნისი. სეიმში წაკითხულ დეკლარაციაში, ახალმა პრემიერმა ვიტოშმა აღნიშნა რუმინეთთან, ჩეხო-სლოვაკიასთან და სამხრეთ სლავიასთან კავშირის გამტკიცებისა და საშუალო ევროპის საკითხში საერთო პოლიტიკური ხაზის გამონახვის აუცილებლობა. პოლონეთს სურს გერმანიასთან კეთილგანწყობილი მეზობლური დამოკიდებულება, მაგრამ მტკიცეთ დაიცავს ვერსალის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებს. რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში პოლონეთი რჩება „ევროპის კომუნიზმისაგან დამფარველ კედლად". პოლონეთს რიგის ხელშეკრულების სრული რეალიზაცია სურს, რასაც, თითქოს, ეწინააღმდეგებოდეს საბჭოთა რუსეთი. პოლონეთი ყოველგვარ ზომებს მიიღებს აიძულოს დანციგი აასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებანი და ბალტიის ზღვისაკენ თავისუფლ გასვლას მოითხოვს. ვიტოშმა აღნიშნა საკუთარ სამხედრო მრეწველობის შექმნისა და აგრარული რეფორმის განხორციელების აუცილებლობა. ვიტოშს ნდობა გამოუცხადეს 226 ხმით 171 წინააღმდეგ, მათ რიცხვში ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენლებმაც.

ვიტოში—საბჭოთა რუსეთთან მშვიდობიანობის მომხრეა.

ვარშავა. 4 ივნისი. სეიმის დეპუტატი და გაზეთ „რეჩ პოსპოლიტას" რედაქტორი სტრონსკი, დეკლარაციის შესახებ სწერს: „არ შეიძლება ვიტოშს განცხადებისა და საბჭოთა რუსეთთან მშვიდობიანი დამოკიდებულების დამყარების სურვილში ეჭვის შეტანა, რადგან ეხლანდელი უმრავლესობის პარტიები ყოველთვის წინააღმდეგი იყვნენ რუსეთის დაყოფისა და ბუფერულ სახელმწიფოების დაარსების".

რუსეთის ცნობის გარშემო

რუსეთ-ესტონეთის კონფერენცია დამთავრდა.

რეველი. 3 ივნისი. გუშინ დამთავრდა რუსეთ-ესტონეთის კონფერენციის მუშაობა. რუსეთის დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვში.

რუსეთ-ფინეთის შეთანხმება მიღწეულია.

ჰელსინგფორსი. 2 ივნისი. რუსეთ ფინეთის თათბირზე სანაოსნო წესის დაცვის შესახებ მიღწეულია შეთანხმება დელეგაციებს შორის.

რუსეთ-ნორვეგიის გემების საზოგადოება.

ქრისტიანია. 2 ივნისი. კრასინთან მოლაპარაკების შემდეგ ლონდონში და ბერლინში, არკოსის, ჩრდილოეთის ხე-ტყის სინდიკატსა ბერგონის გემების საზოგადოების შორის დაარსდა რუსეთ-ნორვეგიის გემების საზოგადოება, რომლის სააქციონერო კაპიტალი შეადგენს 1,500 კრონს. საზოგადოების მთავარი სამმართველო ბერგენშია.

რუსეთ-დანიის სავაჭრო ხელშეკრულება.

კოპენჰაგენი 2 ივნისი. რიკსტაგის გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე კენჭი უყარეს რუსეთ-დანიის სავაჭრო ხელშეკრულებას რატიფიკაციის საკითხს. 13 დეპუტატმა ხმა მისცა დაუყონებლივ რატიფიკაციას. დანარჩენები მოითხოვდენ ამის გადადებას შემოდგომაზე. რიკსტაგი მოწვეული იქნება რატიფიკაციისათვის 7 ივნისს.

რუსეთ დანიის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოხდება ახლო მომავალში.

კოპენჰაგენი. 2 ივნისი. ოფიციალური გაზეთი „კეებენხავნ"-ი ფიქრობს, რომ რუსეთ-დანიის ხელშეკრულების რატიფიკაციას აუცილებლად გაატარებენ რიკსტაგში ლიბერალები, რადიკალები და სოციალ-დემოკრატები.

გაზეთი ამტკიცებს კონსერვატორების მოთხოვნილების უსაფუძვლობას, ვინაიდან რატიფიკაცია უნდა მოხდეს 17 ივნისამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება გაუქმდება. სოციალ დემოკრატები ფიქრობენ, რომ კონსერვატორების ნაწილიც ხმას მისცემს რიკსტაგში რატიფიკაციისათვის.

იმპერიალიზმის წინააღმდეგ

ოდესის მუშების ხმა.

ოდესა. 3 ივნისი. ოდესის მუშები განაგრძობენ პროტესტის გამოცხადებას იმპერიალიზმის თავხედ განზრახვების წინააღმდეგ. ყველა ქარხნებსა და ფაბრიკებზე და აგრეთვე სამხედრო ნაწილებში გამოაქვთ რეზოლუციები, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ოდესის მუშები მზად არიან წინააღმდეგობა გაუწიონ კერზონისა და ურკარტების განზრახვებს. რკინისგზელების მიტინგზე, რომელსაც 15 000-დე კაცი დაესწრო გამოტანილ იქნა რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს მთელი ქვეყნის რკინისგზის პროლეტარიატს წინააღმდეგობა გაუწიოს დასავლეთის იმპერიალისტურ ძალებს.

ხერსონიდან, ელისავეტგრადიდან, ნიკოლაევიდან, ტირასპოლიდან და პერვომაისკიდან ცნობები მოდის იმ აღშფოთების შესახებ, რომელიც კერზონის უკანასკნელმა ნოტამ გამოიწვია; ცნობები აღნიშნავენ მუშათა და გლეხთა მასების შეუდრეკელ სურვილს დაიცვან თავისი საბჭოთა რესპუბლიკა.

სხვადასხვა ამბები

ბულგარეთი

„მწვანე ინტერნაციონალი"

ვენა. 2 ივნისი. ბულგარეთის პრემიერს სტამბულინსკის განზრახვა აქვს მოიწვიოს მწვანე ინტერნაციონალი, რომელმაც უნდა გააერთიანოს ევროპის ყველა გლეხური პარტიები.

სტამბულინსკის ასეთი განზრახვა. სოფიაში ამას წინად შემდგარ ბულგარეთის აგრარიების პარტიის კონგრესზე, რომელსაც პოლონეთის, ჩეხო—სლოვაკიის, საბერძნეთის და სამხრეთ სლავიის დელეგატები დაესწრენ, მარცხით გათავდა.

ბელგია

საერთო გაფიცვით იმუქრებიან.

პარიზი 31 მაისი. ბელგიის რკინისგზელების პროფკავშირმა, რომელიც იძულებული იყო დათანხმებულიყო იმაზე, რომ მუშების მოთხოვნილება მთავრობას მუშაობის განახლების შემდეგ განიხილა, წინადადება მისცა რკინის გზელებს შეწყვიტონ გაფიცვა. პროფკავშირები აცხადებენ, რომ თუ მთავრობა მოითხოვს აჯანყებულ მუშების დათხოვნას, მაშინ გამოცხადებული იქნება საერთო გაფიცვა.

მთავრობა უარს ამბობს რაიმე დაპირებაზე. მუშაობა ნაწილობრივ განახლებულია.

სერბია

სერბიის ჯარების რეორგანიზაცია.

ვენა. 2 ივნისი. ბარსელონაში მდგომარეობა ძალიან გართულებულია. ტრანსპორტის მუშათა გაფიცვა საყოველთაო ხასიათს იღებს. მრეწველებზე თავდასხმა გახშირდა. მთავრობის დელეგატი ამაოდ შეეცადა კონფლიქტის მორიგებას.

სერბიის მასწავლებელთა გაფიცვა.

ვენა 2 ივნისი. რადგანაც მთავრობამ უარი განაცხადა მასწავლებლებისათვის ჯამაგირის მომატებაზე, მასწავლებელთა უმრავლესობამ თხოვნა შეიტანა თანამდებობიდან განთავისუფლებისა. ამის გამო სახელმწიფო მოსამსახურეთა კომიტეტმა მთავრობას ულტიმატუმი წარუდგინა და პასუხის ვადათ 7 დღე მისცა.

რუმინეთი

ბესარაბიაში ტერორი ძლიერდება.

ვენა. 2 ივნისი. ბესარაბიაში ტერორი საშიშ ხასიათს ღებულობს. ოპოზიციის დეპუტატები პარლამენტში ბრალს სდებენ მთავრობას, რომ იგი ბესარაბიაში ბევრს დატუსაღებულს ჰხოცავს. ბლოკის მოთხოვნით ბესარაბიაში მთავრობა ჰგზავნის შერეულ კომისიას, საქმის გამოსაკვლევად. ოპოზიციის მიერ გამომჟღავნებული ამბები დიდს შეხლა შემოხლას იწვევს პარლამენტში, რამაც გამოიწვია ზოგიერთ გლეხ დეპუტატების განდევნა პარლამენტის სხდომებიდან.

ლატვია

ინგლისის ესკადრა ლატვიის წყლებში.

რიგა. 2 ივნისი. ივნისის გასულს ლატვიის წყლებში შევიდა ინგლისის ესკადრა რამდენიმე კრეისერით.

იტალია

„ავანტის" თანამშრომელთა დატუსაღების გამო.

რომი. 2 ივნისი. სამოსამართლო გამომძიებელმა უკვე დაასრულა სერრატისა და „ავანტი"-ს სხვა თანამშრომელთა საქმის გამოძიება. „ავანტი" მოითხოვს დატუსაღებულთა განთავისუფლებას. ალბათ მათ გაანთავისუფლებენ კიდეც.

ფაშისტების და ლიბერალების კავშირი.

ბერლინი. 2 ივნისი. იტალიის გაზეთებში გაცხარებული კამათია ახალი მთავრობის შემადგენლობის შესახებ. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ ფაშისტები და ლიბერალები კოალიციას შეადგენენ.

ინგლისის ახალი კაბინეტი

რობერტ სესილი მხოლოდ ბალდვინთან ითანამშრომლებს.

ვენა. 2 ივნისი. რადგანაც რობერტ სესილი ბალდვინის მთავრობაში შევიდა, ის თავს ანებებს „ერთა ლიგის მეგობართა" თავმჯდომარეობას.

საფრანგეთი.

რესპუბლიკანური ბლოკი.

პარიზი. 4 ივნისი. ბრიანმა რესპუბლიკანური ფედერაციის კრებაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მიუთითა ისეთი რესპუბლიკანური ბლოკის დაარსების აუცილებლობაზე, რომელიც განცალკევებული იქნება მემარჯვენე პარტიისა და როიალისტებისაგან. „ტან"-ი იწონებს ბრიანის სიტყვას, თუმცადა მისი აზრით საკმაოდ სწორი არ არის რესპუბლიკანელების განცალკევება უკიდურეს მემარცხენეთაგან, „ტან"-ის განცხადებით, სამოქალაქო სკოლისათვის ბრძოლის გარდა, რესპუბლიკანელებს აერთიანებს კიდევ კომუნიზმთან ბრძოლის იდეია.

მღელვარება დეპუტატთა პალატაში.

პარიზი. 3 ივნისი. „მეფის აპაშების"-ს უკანასკნელი გამოსვლების გამო, დეპუტატთა პალატის გუშინდელი სხდომა მღელვარე ხასიათს ატარებდა. კაშენმა გამოაქვეყნა კომუნისტების დეკლარაცია, რომელშიაც გამოთქმული იყო უნდობლობა მთავრობისადმი და განცხადება, რომ კომუნისტები ნებას არ მისცემენ ფაშისტებს ფეხქვეშ გასთელონ მუშათა ორგანიზაციები.

როიალისტების თავდასხმა სოციალისტებზე წინად განზრახული იყო.

პარიზი. 3 ივნისი. საფრანგეთის მთელი პრესა ჰკიცხავს როიალისტების მებრძოლი რაზმების გამოსვლას. შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებით, დაპატიმრებულ როიალისტების ჩხრეკა ამტკიცებს, რომ წინდაწინ იყო მოფიქრებული სოციალისტებზე თავდასხმის გეგმა. დეპუტატთა პალატაში შეტანილია ინტერპელიაციები პუანკარეს კაბინეტის გადადგომის მოთხოვნილებით.

ჩინეთი.

მდგომარეობა გართულებულია.

პეკინი. 3 ივნისი. მიღებული ცნობების მიხედვით, სუნ-იატ-სენის ჯარებმა დაიკავეს ჩენ-ჩუ-მინის ჯარების აღმოსავლეთის ფრონტის სიმაგრე—ბეი ხაუ. მაგრამ სუნ-იატ-სენის მდგომარეობა გართულებულია მატერიალური საშუალების უქონლობის გამო; აგრეთვე მის მდგომარეობას ართულებს ის გარემოება, რომ ინგლისის ხელისუფლება გონკონგში აწარმოებს კამპანიას მის წინააღმდეგ ახლო-მომავალში მოელიან გადამწყვეტ შეტაკებას სუნ-იატ-სენს და ჩენ-ჩუ-მინს შორის.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი.

მუშათა პრესის სადარაჯოზე.

მოსკოვი. 4 ივნისი. კრასნოპრესნენსკის სასამართლოში ირჩეოდა „მუშათა გაზეთის" საქმე, რომელსაც ბრალს სდებდა ცილისწამებაში ვინმე როიზმანი. გაზეთმა გამოაქვეყნა როიზმანის საქმეები, რომელიც საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარე იყო და რომელმაც 10 პროც. ნორმაში შეიტანა მუშათათვის უცხო ენების კურსების შენობა. სასამართლომ გაზეთის შენიშვნა სწორად სცნო, მიზანშეწონილად ჩასთვალა „მუშათა გაზეთის" მოქმედების ხაზი და თვით როიზმანის ბინის შემჭიდროების შესაძლებლობის სურვილი გამოსთქვა.

გლეხობა სრულიად რუსეთის გამოფენაზე.

მოსკოვი. 2 ივნისი. გამოფენის მთავარმა კომიტეტმა შეიმუშავა გლეხთა ნიმუშებისათვის შეღავათიანი პირობები: ნიმუშების გადასატან ხარჯებზე დაუკლებენ 25 პროც., გადასაზიდი ტარიფიც შეღავათიანი იქნება გლეხების მიერ გაგზავნილ პირუტყვებზე, უფასოთ დაიზღვევენ ამ პირუტყვს, გამოფენილ ექსპონანტების ღირებულება აუნაზღაურდებათ, თუ საქონელი დაეღუპათ, გამოფენაზე ადგილის ქირას არ გადაახდევინებენ, გლეხებს გამოფენაზე გასამგზავრებლად მიეცემათ უფასო ბილეთები. გამოფენაზე აშენებენ გლეხების მოსათავსებელ ბინებს. მოსკოვისა, ვოლოგდისა, პენზისა, პერმისა, ვორონეჟისა და სხვა გუბერნიებიდან ჩამოსულთათვის.

150 სასოფლო აფთიაქი რუსეთისათვის

მოსკოვი 4 ივნისი. რუსეთში მოქმედმა საერთაშორისო სამკურნალო კომიტეტმა დაამზადა რუსეთში გასამგზავნად 150 სასოფლო აფთიაქი.

მუშებისა და წითელარმიელების დაძმობილება.

მოსკოვი 4 ივნისი. გუშინ ხოდინკაზე დიდის ზეიმით გაიმართა მუშათა და წითელარმიელთა დაძმობილება კრასნოპრესის უბანში, რომელმაც დიდძალი მუშები მიიზიდა სხვა უბნებიდანაც. ორატორებმა, მათ შორის ანტონოვ მურალოვმა, ილაპარაკეს მშრომელი ხალხისა და წითელარმიელთა გაერთიანებაზე და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წითელ არმიელთა გაერთიანებაზე და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ წითელი ჯარი მუდამ მზად არის ფხიზლად იდგეს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე. ამ ზეიმს დაესწრო კურსკისა და გომელის გუბერნიებისა და აგრეთვე შორეულ აღმოსავლეთის გლეხობა, რომელთაც განაცხადეს, გლეხობა მზად არის იბრძოლოს მშრომელთა საერთო ინტერესებისათვის.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აადვილებს საქმეს.

მოსკოვი. 4 ივნისი. ყველა სასოფლო ყრილობებზე თანაგრძნობით ეგებებიან ერთიან სასოფლო-სამეურნეო გარდასახადის დეკრეტს, რადგანაც ამ დეკრეტით გაადვილებულია შეწერილ გადასახადის შეტანა.

ხიდების შეკეთება პსკოვის გუბერნიაში.

პსკოვი. 3 ივნისი. პსკოვის გუბერნიაში აღდგენილია 8 ხიდი. თადარიგს შეუდგნენ 50 ხიდის შესაკეთებლად.

860.000 ფუთი ტორფი.

პსკოვი. 3 ივნისი. პსკოვის ტორფიან ადგილებში ამ სეზონში იმედი აქვთ დაამზადონ 860.000 ფუთი მშრალი ტორფი.

უკრაინა.

მომთაბარეთა ბინები

ხარკოვი. 4 ივნისი. დონის მისადგომებში აშენებენ ბინებს მომთაბარე მუშებისათვის. ამ საქმისათვის გადადებულია 700 000 მან. ოქროთი. სახელმწიფო აღმშენებლობის კანტორის ბიურო საალმშენებლო საქმეზე ჰხარჯავს 1 მილიონზე მეტს მანათს ოქროთი.

სახალხო მეურნეობის აღორძინება.

ხარკოვი 4 ივნისი. ბევრს გუბერნიაში სწარმოებს სარკინისგზო ხიდების შეკეთება და სახორბლე ბეღლების აშენება.

თესვის კამპანია

ეკატერინბურგის გუბერნიაში.

ეკატერინბურგი. 31 მაისი. თესვის კამპანია ეკატერინბურგის გუბერნიაში წარმატებით ჩატარდა. განაწილებულია 1 021.000 ფუთი თესლი.

სტავროპოლის გუბერნიაში.

სტავროპოლი. 3 ივნისი. საზაფხულო თესვის კამპანია დამთავრდა. წარსულ წელთან შედარებით ნათესების სივრცე 50 პროცენტით გადიდდა. წვიმების გამო პური გამობრუნდა.

ოდესის გუბერნიაში.

ოდესა. 3 ივნისი. ოდესის გუბერნიაში პური მშიდრო და მაღალია. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

გლეხები მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის.

პსკოვი. 3 ივნისი. ყველა სასოფლო სხდომებზე, დეკრეტს მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ თანაგრძნობით ხვდებიან, როგორც ღონისძიებას, რომელიც აადვილებს გადასახადების გაღებას.

ამხანაგებო მუშებო და მოქალაქენო!

განუზომელი მსხვერპლის გაღების და ძალების [illegible] საშუალებით, მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ შესძლო აღმოეფხვრა უსაშინელესი სახალხო უბედურება—სიმშილი, რომელიც [illegible] სობით სიცოცხლე.

მაგრამ სიმშილმა მის შემდეგ დასტოვა აუტანელი შედეგები. მან გაანადგურა დამშეულ რაიონების გლეხთა მეურნეობანი, დიდი ხნით მოსწყვიტა ისინი მწარმოებელთა რიგებს და დასტოვა სიღარიბის კლანჭებში. ეხლა საჭიროა დიდი ღონისძიება და საშუალებები, რომ აღვადგინოთ დანგრეული მეურნეობანი.

სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა გასწია დახმარების აღმოსაჩენად. მან რამოდენიმე ათასი სიცოცხლე იხსნა სიმშილით სიკვდილისაგან. ბევრს გაუწია დახმარება თავისი მეურნეობის აღსადგენად.

მაგრამ სიმშილობის მიერ მიყენებული ჭრილობა ძლიერ დიდია, ხოლო სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომიტეტის საშუალებები ისე მცირეა, რომ მუშების და პატიოსან მოქალაქეების დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნება სიმშილობის შედეგების ლიკვიდაცია.

სიმშილობა კიდევ საგრძნობი ხდება ეხლაც. სიმშილობის გამო დაზარალებული რაიონები ეხლა აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან. გლეხების დიდ ნაწილს უკვე ელევა თავისი უკანასკნელი მარაგი. მრავალ ადგილებში მცხოვრებლები გადადიან კვლავ სუროგატებზე. ვრცელდება ავადმყოფობა და სიკვდილის შემთხვევები. სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტის საშუალებები იწურება. სიმშილის საშიშარი აჩრდილი კვლავ დასტრიალებს თავს დამშეულ რაიონებს.

ამხანაგებო მუშებო და მოქალაქენო!

თქვენ, რომლებიც მოწამენი იყავით სიმშილობის საშიშარი პერიოდის, არ შეგიძლიათ და არც უნდა შეხვდეთ დამშვიდებით სიმშილობის საფრთხეს და მის შედეგებს—მასიურ გადამდებ სნეულებებს.

დამშეულთა დახმარების და სიმშილობის მძიმე შედეგების ლიკვიდაციის საქმის გასაფართოებლად სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომიტეტი მართავს სრულიად-რუსეთის ფულის ლატარიას, რამაც დიდი როლი უნდა ითამაშოს დამშეულთა დახმარების საშუალებათა ძლიერებაში.

ბილეთების საერთო რაოდენობა უდრის ორ მილიონს.

უმთავრესი მოგება არის ორასი მილიარდი მანეთი.

სულ 102,808 მოგებაა, აქედან:

1	მოგება	200,000,000,000	მან.
1	„	100,000,000,000	„
1	„	75,000,000,000	„
1		50,000,000,000	„
2	„ თვითეული	25,000,000,000	„
2	„	15,000,000,000	„
4	„	10,000,000,000	„
5	„	5,000,000,000	„

და სხვა—სულ მოგებათა ჯამი უდრის სამ ტრილიონ მანეთს. ბილეთი ღირს 250,000 მანეთი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით. ტირაჟი 15 ივნისს 1923 წელს.

თვითეული მოქალაქის ვალია თავისი წვლილი შეიტანოს სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის საქმეში, ლატარიის ბილეთების შეძენის გზით.

თვითეულ მოქალაქეს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ ბილეთის შეძენით ის ერთი თვით არსებობის საშუალებას აძლევს ერთ გლეხს.

სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომიტეტის ლატარია უბრალო საქველმოქმედო საქმე კი არ არის, არამედ ეს არის საშუალება მთელი სოფლების დაღუპვისაგან გადარჩენისათვის. ბილეთის შემძენი ასრულებს საბჭოთა რესპუბლიკის პატიოსანი მოქალაქის მოვალეობას.

ლატარიის ბილეთს ის არ შეიძენს და ის არ გამოეხმაურება მოწოდებას, ვისაც უხარია ხალხის ტანჯვა და უბედურება.

ყველა სინიდისიერი მოქალაქე დახმარებას აღმოუჩენს სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალურ კომიტეტს მის დიად მუშაობაში რამოდენიმე ათასი სიცოცხლის გადასარჩენად.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომთან არსებულ სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **მიხა ცხაკაია.**

სრულიად-რუსეთის ცენტრალურ აღმასკომთან არსებული სიმშილობის შედეგებთან ბრძოლის ცენტრალური კომიტეტის რწმუნებული: **გ. აკოპიანი.**

პროფინტერნში

პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროში

ფრანკფურტის დელეგაციის მოლაპარაკება პროფკავშირების ამსტერდამის ინტერნაციონალთან.

როგორც უკვე გადმოგვცემდენ, მუშათა ორგანიზაციების საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც გაიმართა ფრანკფურტში 18—20 მარტს, დაადგინა გაეგზავნა დელეგაცია ამსტერდამის ინტერნაციონალთან ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ მოსალაპარაკებლად. იმის გამო, რომ ამსტერდამის გაერთიანების სეკრეტარიატმა ვერ მოახერხა ნებართვის მიღება გოლანდიის მთავრობისაგან დელეგაციის შესვლაზე, უკანასკნელი ჩავიდა გოლანდიაში არალეგალურად.

საზღვარზე გადასვლის დროს რუსეთის პროფკავშირების ორი წარმომადგენელი: ამხ. ამხ. იუზეფოვიჩი და კოზელევი დააპატიმრეს, ხოლო ამსტერდამში ჩავიდა დელეგაციის მხოლოდ ოთხი წევრი: ამხ. დიუპილე—საფრანგეთის რევოლუციონურ პროფკავშირებიდან, გერმანელი სოციალ-დემოკრატი ფრიგე—რეინ ვესტფალიის ფაბრიკა—ქარხნების კომიტეტებიდან, ამხ. გეკკერტი—ომის და ფაშიზმის წინააღმდეგ მოქმედების საერთაშორისო კომიტეტიდან, ამხ. კალინინი რუსეთის სამთო-მადნო მრეწველობის მუშათა კავშირისაგან.

დელეგაციას მოეგებენ ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივნები, უდეგესტი, ფიმენი, ბრაუნი და ზასენბახი.

დელეგაციას სურდა დაეწყო ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ დაუყონებლივ მოეწყოთ შეთანხმებულად კლასობრივ ნიადაგზე მდგომ ყველა ორგანიზაციების ბრძოლა ვერსალის ხელშეკრულების, რურის ოკუპაციის, იტალიის ფაშიზმის და მისი საერთაშორისო მასშტაბით განვითარების, შეტევაზე გადმოსული კაპიტალის და მუშათა ორგანიზაციების ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის წინააღმდეგ.

ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივნები გაურბოდენ პირდაპირ პასუხს დელეგაციის კონკრეტიულ წინადადებებზე.

მათ საშუალება არ ჰქონდათ უარეყოთ პირდაპირ იმ საფრთხეების არსებობა, რომლებზედაც მიუთითებდა დელეგაცია, რადგანაც ფრანკფურტის კონფერენციამ და მისმა გამოძახილმა დაგვანახვა, რომ დელეგაციას ემხრობიან მუშათა ფართო წრეები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენლებმა უარყვეს წინადადება ერთიანი ფრონტის შესახებ იმ მიზეზით, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალი წარმოადგენს არა ნაციონალურ ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურ ორგანოს, არამედ მხოლოდ თავისუფალ გაერთიანებას ცალკე ორგანიზაციების, რომელთაც ის ვერაფერს ვერ უბრძანებს. ამსტერდამელებმა განაცხადეს, რომ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად და მოძრაობის საერთაშორისო მასშტაბით გასაერთიანებლად საჭიროა, რომ ამსტერდამის ინტერნაციონალის მომხრე პროფკავშირებმა თვითეულ ცალკე სახელმწიფოში გამოაცხადონ თავისი თანხმობა შეთანხმებულად გამოსვლაზე. იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ ფრანკფურტის კონფერენციაზე. მეორე მოტივათ დელეგაციის წინადადების უარყოფისათვის მოიყვანეს ამსტერდამის ინტერნაციონალის რომის კონგრესის (1922 წ. ივლისი) დადგენილება, რომლითაც უფლება არ აქვს ამსტერდამის ინტერნაციონალის მომხრე კავშირს დაიკავოს ურთიერთობა ისეთ ორგანიზაციასთან, რომელიც არ სცნობს ამსტერდამის ინტერნაციონალის პრინციპებს ან შედის რომელიმე სხვა ინტერნაციონალში.

ამაზე დელეგაციამ უპასუხა, რომ ცალკე სახელმწიფოებში მუშები უკვე შეუდგნენ ერთიანი ფრონტის მოწყობას და რომ მუშაობა ამ სფეროში ასე თუ ისე გაფართოვდება, მხოლოდ ამსტერდამის ინტერნაციონალის ჩარევა საჭირო იყო ამ საქმის გასაადვილებლად, რაც შეეხება რომის კონგრესის დადგენილებას, ეს უკანასკნელი მრავალჯერ იყო დარღვეული ქრისტიანულ და ნაციონალურ მუშათა კავშირების და თვით მწარმოებელთა ორგანიზაციების მიმართ, რომლებთანაც ამსტერდამელები მუდამ თანამშრომლობდენ: მხოლოდ როცა საქმე ეხება მემარცხენე ორგანიზაციებს, მაშინ ეს დადგენილება წარმოადგენს გადაულახველ დაბრკოლებას. „თუ,—განაცხადა დელეგაციამ,—ამსტერდამელები უარყოფენ ერთიან ფრონტს, რომელსაც მოითხოვენ მუშათა მასები, მათვე უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა და სასჯელი პროლეტარიატის დამარცხებისათვის".

ამაზე საპასუხოდ ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივნებმა განაცხადეს, რომ თუმცაღა პირადათ მათაც სურთ ერთიანი ფრონტი და გააკეთებენ ყველაფერს ამის განსახორციელებლად, მაგრამ მათ არ შეუძლიათ საბოლოო პასუხი მისცენ დელეგაციას, ვინაიდან ასეთი საკითხების გადაჭრა შედის ინტერნაციონალის აღმასკომის კომპეტენციაში და არა მისი სეკრეტარიატის. ამის გამო მათ

საქართველოს წარმოებითი პროფკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, 15 ივნისისთვის მოწვეულია

სრულიად საქართველოს პროფკავშირების მე-3 ყრილობა

ყრილობის წესრიგი:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს და სარევიზიო კომისიის ანგარიში.
3. ამიერ-კავკასიის შრომის კომისარიატის საქართველოში მყოფ რწმუნებულის მოღვაწეობის ანგარიში და მისი უახლოესი მიზნები შრომის დარგში.
4. საორგანიზაციო საკითხები.
5. სატარიფო საკითხი.
6. კულტურის საკითხი.
7. მრეწველობის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
8. მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა და მისი პერსპექტივები.
9. არჩევნები საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიისა.

ყრილობის დელეგატებს წინადადება ეძლევათ თან წამოიღონ ადგილობრივი მუშაობის მდგომარეობის სისწორით დამახასიათებელი მასალები.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მოეწყო

„ბაქოს დახვრეტილ 26 კომისარის ოჯახების დამხმარე კომისია",

სადაც თავი მოეყრება აღნიშნულ ოჯახებისათვის ყოველგვარ დახმარებას. სწორი აღრიცხვისათვის სთხოვენ ყველას აცნობონ კომისიას თავისი მისამართი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალმასკომის მდივანი: ტალიბლი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება იწვევს ხუთშაბათს, 7 ივნისს, საღამოს ექვს საათზე მეოთხე რაიონის პარტიული სკოლის შენობაში (რუსთაველის პრ. № 22) ქალთა განყოფილების ორგანიზატორების საქალაქო კრებას.

დღის წესრიგი:

1. საინფორმაციო მოხსენება დელეგატ ქალებთან მუშაობის შესახებ მიმდინარე სამი თვისათვის.
2. საინსტრუქტორო მოხსენება ქალთა განყოფილებების ორგანიზატორების მოვალეობათა შესახებ.
3. მიმდინარე საქმეები.

თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე: **ს. დალნაია.**

საბჭოთა ხელისუფლების მტრები ხმებს ავრცელებენ, თითქოს სპარსეთთან ვაჭრობის დროს ძალაში იყოს ევროპიული საბაჟო ტარიფი.

ამიერ-კავკასიის საბაჟოების სამმართველო ამით აცხადებს, რომ სპარსეთთან ვაჭრობის დროს ყოველგვარ სპარსული საქონლის მიმართ ძალაშია შეღავათიანი სპარსული ტარიფი (ტარიფი დეკლარაციისა 1901 წ. B).

საგარ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრი: **ცირაპი.**

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საქართველოში

საქართველოს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიამ სამაზრო პოლიტიკურ განათლების განყოფილებების ცნობებით ა. წ. 1 აპრილისათვის დაამთავრა რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ განათლების დაწესებულებების გამოანგარიშება, ყველა სამაზრო ქალაქების ჩათვლით, გარდა ტფილისისა.

1 აპრილისათვის მუშაობდა: სკოლები უსწავლელთათვის—200, წერა-კითხვის ცოტათი მცოდნეთათვის—41, საბჭოთა პარტიული სკოლები—11, სამკითხველოები—315, ბიბლიოთეკები—130, სახალხო სახლები—37, კლუბები და თეატრები—74, სულ 808 პოლიტიკურ-განმანათლებელი დაწესებულება. წერა-კითხვის უცოდინარ მცხოვრებთა საშუალო პროცენტი მთელ რესპუბლიკაში უდრის 72,6 პროც, აქედან ლიკვიდაცია უნდა მოხდეს საშუალოდ 24,3 პროცის ე. ი. სწორი გამოანგარიშებით წერა-კითხვის უცოდინარ ორივე სქესის მცხოვრებთა რიცხვი რომელთა ლიკვიდაცია უნდა მოხდეს უდრის 448 678 კაცს. წერა-კითხვის უცოდინართა უმეტესი პროცენტი მოდის ბორჩალოს მაზრაზე—98 პროც. და აფხაზეთზე—95 პროც, უმცირესი: ოზურგეთის—25.8 პროც. და რაჭის 41,1 პროც. მაზრებზე.

წერა კითხვის უცოდინართა ყველაზე მეტი რიცხვი აბსოლიუტურ ციფრებში, რომელთა ლიკვიდაციაც უნდა მოხდეს, მოდის გორის მაზრაზე—47.348 კაცი, შემდეგ ქუთაისის მაზრაზე—44,757 კაცი. ყველაზე ნაკლები რიცხვი 9.255 კ. მოდის ოზურგეთის მაზრაზე.

წინადადება მისცეს დელეგაციას შეადგინა თავისი წინადადებები წერილობითი ფორმით, რომელიც წარედგინებოდა განსახილველად ამსტერდამის გაერთიანების აღმასკომის მახლობელ სხდომას. დასასრულ მდივნებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ ამ მოლაპარაკების შინაარსი ჯერ არ ყოფილიყო გამოქვეყნებული, რაზედაც დელეგაციამ კატეგორიული უარი უპასუხა და განაცხადა, რომ ეს ეწინააღმდეგება რევოლიუციონურ ორგანიზაციების შეხედულებებს ერთიან ფრონტზე და რომ მუშათა მასები მუდამ უნდა ეცნობოდენ თავიანთი ბელადების და მეთაურების თათბირის მიმდინარეობას. მოლაპარაკების შემდეგ დელეგაციამ შესძლო და ხელი მოაწერინა ამსტერდამის ინტერნაციონალის სეკრეტარიატს შემდეგ შეთანხმებაზე: „აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მზადება იმისათვის, რათა შესაძლებელი იქნეს ყველა ქვეყნის მშრომელების გაერთიანებული გამოსვლა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რისთვისაც ორთავე მხარე თანაბარი ენერგიით უნდა მუშაობდეს ამ მიმართულებით. ამის შესახებ ფრანკფურტის დელეგაციამ უნდა წარუდგინოს პროფკავშირთა ინტერნაციონალს თავისი წინადადება".

ამით გათავდა ჯერ ჯერობით მოლაპარაკება.

უცხოეთის ცხოვრება

ფაშისტური მთავრობის „რეფორმები".

მას შემდეგ, რაც გაუქმებულ იქნენ უმუშევართა დამხმარე კომისიები და უმუშევრობის და დაქირავებულ შრომის ნაციონალური ბიურო, ფაშისტური მთავრობა შეუდგა სხვა დაწესებულებათა დახურვას.

უკანასკნელი დეკრეტის მიხედვით გაუქმებულია: უბედურების შემთხვევისაგან დაზარალებულთა დამხმარე კასის ნაციონალური საბჭო, დედობრიობის კასის ადმინისტრატიული კომიტეტი, სოციალური მზრუნველობის უმაღლესი საბჭო,—ორგანიზაციები, რომლებშიაც შედიოდენ მწარმოებელთა და ყველა მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები განურჩევლათ მიმართულებისა.

ახალი ორგანიზაციები მოეწყობა უშუალოდ შრომის სამინისტროსთან, რომელიც მათ მუშაობაში ჩააბამს მხოლოდ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც დგანან „ნაციონალურ ბაზარზე" (ე. ი. ფაშისტურზე).

გამოიცა აგრეთვე დეკრეტი სოციალური დაზღვევის ნაციონალური კასის შემადგენლობის შეცვლის შესახებ. დეკრეტის გამოცემამდე ამ ნაციონალურ კასაში შედიოდენ: წარმომადგენელი დამქირავებლებიდან, 8—იმ მუშებისაგან, რომლებზედაც ვრცელდებოდა სავალდებულო დაზღვევა და 2 წარმომადგენელი ნებაყოფლობით დაზღვეულებისაგან, ხოლო ახალ საბჭოში, რომელიც დაარსდება ახლო მომავალში, იქნება—8 წარმომადგენლები დამქირავებლებიდან და 8—მუშებისაგან.

ამ რიგად, მუშები ჰკარგავენ ხმის უმეტესობას სოციალური დაზღვევის კასაში. ამ დეკრეტის გამოცემით შრომის მინისტრი ატარებს მწარმოებელთა სამრეწველო კონფედერაციის დადგენილებას, რომელიც მოითხოვდა პარიტეტიულობას დაზღვევის ორგანოებში.

ამ რეფორმების დასრულებას წარმოადგენს შრომის სამინისტროს გაუქმება. შრომის და სოციალური მზრუნველობის სამინისტრო დაარსებული იყო იტალიაში სხვა სახელმწიფოების მაგალითის მიხედვით 1920 წელს. ეხლა ის სამინისტროს დადგენილების თანახმად უნდა გადაიქცეს მრეწველობის სამინისტროს სექციად და მისი მუშაობა შემცირებული უნდა იქნეს საგრძნობლად.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

გაფიცვები იზრდება.

ბერლინი. 3 ივნისი. გერმანიაში იზრდება ახალი გაფიცვების ტალღა. ბერლინში რკინის-გზის და ქალაქის თვითმმართველობის მუშებს აღელვება ემჩნევა.

ბრესლავში მწარმოებლებმა ლოკაუტი გამოაცხადეს.

ჰაგენში მზადდება გაფიცვა.

დიუსელდორფში და კელნში გაფიცვა გრძელდება. ლითონის მუშების გაფიცვა ძლიერდება.

რეიმშეიდში გაფიცვის კომიტეტმა გაფიცულებს შორის გაანაწილა რუსეთიდან მიღებული პური.

რურის მუშები მიღებულ მომატებას შრომის ხელფასზე არა საკმაოთ თვლიან და განზრახვა აქვთ მოითხოვონ ახალი მომატება.

ფეიქრებმა გაიმარჯვეს

ვარშავა. 4 ივნისი. ბელოსტოკის ფეიქრების ორი კვირის გაფიცვა შრომის ხელფასის 50 პროც.-ის გადიდებით დამთავრდა.

ეკონომიური გაფიცვა ბრომბერგში.

ვარშავა. 4 ივნისი. ბრომბერგში საერთო ეკონომიური გაფიცვა დაიწყო ფაბრიკებსა, ტრამვაისა და ელექტრონის სადგურებზე.

საბჭოთა კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბათუმი

ნავთსადგურში.

ბათომი. 2 ივნისი. მოვიდა საზოგადოება პაკეს გემი „ფრიცი", რომელმაც 90 ტონი სხვადასხვა საქონელი მოიტანა. ანაკლიიდან ნავებით მოაქვთ თევზეულობის წვრილი ტვირთები.

აჭარა.

11 თვის მუშაობის განმავლობაში—800 პროცენტი

ბათომი. 2 ივნისი. კომუნალურ მეურნეობის განყოფილების, ყოფ. „ალმოსავლეთი"-სა და დანიელოვის ქარხნებზე, რომელნიც საბჭოთა მთავრობას მუშებისადმი ნახევარი მილიარდი მანეთის (1922 წ. კურსით) ვალით გადაეცა, ამ ფაბრიკებმა 11 თვის მუშაობის განმავლობაში შესამჩნევად წაიწიეს წინ. მეპატრონეების დროს 84 კაცის შტატით ფაბრიკები ყოველთვიურად მაქსიმალურად ამზადებდენ 300 ათასიდან 450.000-დე პაპიროსსა და 2200 გირ. თამბაქოს, საბჭოთა მმართველობის დროს კი იმავე ფაბრიკებმა იმავე 83 კ. შტატით აპრილის განმავლობაში დაამზადეს 2.200 000 პაპიროსი და 8.000 გირ. თამბაქო. ამ რიგათ ნაყოფიერება გაიზარდა 800 პროცენტით.

მიწები რკინის გზელთათვის.

ბათომი. 2 ივნისი. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა ყოფ. „ნობელის" ქარხნის პირდაპირ გადასცა რკინის გზელებს 70 ნაჭერი მიწა 220 საჟ. თვითეულს. მიწები დარიგებულია საცხოვრებელ ბინებისა და პატარა მეურნეობების ასაშენებლად. მიწები მიცემული იქნება გრძელვადიან იჯარით.

სკოლებში.

ბათომი. 2 ივნისი. განათლების სახალხო კომისარიატმა განიზრახა სასკოლო საქმის ზოგიერთი რეორგანიზაცია: საბავშვო ბაღები, რომელნიც წინედ პირველი ხარისხის მთლიან შრომის სკოლებში შედიოდენ, ეხლა ცალდებიან მათ; მათ მაგივრად სკოლას უერთდება ჰუმანიტარულ ტეხნიკუმის პირველი ორი კლასი. თვით ჰუმანიტარული ტეხნიკუმები კი თანდათან გადადიან ინდუსტრიალურ ტეხნიკუმებად, რომელნიც დამთავრებულ საშუალო განათლებას იძლევიან.

აზერბეიჯანი

ბაქო. 4 ივნისი. აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პლენუმმა 2 ივნისის სხდომაზე გამოიტანა ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილებანი სააღგილმამულო საკითხების თაობაზე. ერთ-ერთი ამ დადგენილებათაგანი ეხება ბეგებისა და ძველი მემამულეებისაგან იმ მიწების ჩამორთმევას, რომლებიც მათ ამ ბოლო დროს მიუთვისებიათ, ძველ მემამულეებს უსარგებლიათ ადგილობრივ გლეხთა სიღარიბით, ხელმოკლეობით და ზოგგან იჯარის სახით, ზოგან ჩაზიარებით ხელში ჩაუგდიათ მოზრდილი მიწის ნაჭრები. ზოგიერთი მიწები ათ დესეტინობით განიზომება, ზოგი კი ასობითაც. პლენუმის დადგენილებით ამ მიწების ჩამორთმევის საქმეს ახლო მომავალში შეუდგებიან.

დახმარება უცხოელ ამხანაგებს.

ბაქო. 4 ივნისი. კასპიის ზღვის სახელმწიფო ნაოსნობის სამმართველოს იაჩეიკებმა გაიღეს უცხოეთის ციხეებში მყოფ ამხანაგების სასარგებლოდ მაისის ჯამაგირის 2 პროცენტი.

ნავთის გაზიდვის პროგრამა მაისისათვის.

ბაქო. 4 ივნისი. მაისის განმავლობაში ბაქოდან ასტრახანში გაზიდულია გაუწმენდელი ნავთის პროდუქტი 1,488,745 ფ. ზეთი და გაწმენდილი ნავთი 3,000,970 ფუთი. პეტროვსკიდან ასტრახანში გაზიდულია გროზნოს პარაფინისებური ნავთი 3,444,8,89 ფუთი. არტემის სახელობის კუნძულებიდან გატანილია ასტრახანში გაუწმენდელი ნავთი—774,432 ფუთი. ბაქოდან კრასნოვოდსკში გატანილია გაუწმენდელი ნავთი 29,907 ფუთ. გაწმენდილი—33,048 ფუთი. პეტროვსკიდან კრასნოვოდსკში გატანილია გროზნოს პარაფინისებური ნავთი—1,262,396 ფუთი. ბაქოდან ენზელში გატანილია გაწმენდილი ნავთი 122,972 ფუთი გაუწმენდელი 200 ფუთი; სულ გატანილია 23,160,361 ფ ცენტრის პროგრამის მიხედვით მაისში გაზიდული უნდა ყოფილიყო კასპიის ზღვის ყველა ნავსადგურებიდან 25,000,000 ფუთი ნავთის პროდუქტი გაუტანელი რჩება მაშასადამე 1,839,639 ფუთი.

მკა დაიწყო.

ბაქო 4 ივნისი. შემახიის, გეოკჩაის, აგდაში, განჯის, კიურდამირის და ნავაგინის რაიონებში დაიწყო ქერის მკა.

მიწის საკითხი საბოლოოდ გადაწყდება

ბაქო. 4 ივნისი. ბაქოს საბჭოს მიწათ-მოქმედების განყოფილებამ გამოიკვლია ბაქოს მაზრაში 80,000 დესეტინამდე სახნავი და საძოვარი მინდვრები, რომ გამოერკვია ამ მიწების განაწილების საქმე გლეხთა შორის. იალაღებისა და საძოვარ ადგილების განაწილება თითქმის ყველგან მოთავდა, სამი სოფლის გარდა, ამ სოფლებში 1921 წ. მიწათ-მოქმედების განყოფილებამ ზოგიერთი სოფლებისათვის ჩამოუჭრა მიწა და მეორე სოფელზე მიუწერა. მაგალითად სოფ. ხიტი-ალაჩის მიწები სხვა სოფლებისათვის გაუნაწილებია. ბაქოს მაზრის საზღვრების გაფართოვების დროს მიწათ-მოქმედების განყოფილებას მიუღია შემახისა და ყუბის იალაღებიც. გლეხების შორის დიდს დავას იწვევს ბაღებისა და ბოსტნებით სარგებლობის წესიც მაშთაგინის რაიონში. ამ რაიონის ღარიბი ხალხი თხოულობს, დაუბრუნდეთ ის მიწები, რომლებიც მუსავატელების დროს მათ ან გაუყიდნიათ ან დაუგირავებიათ. ასეთი თხოვნა 800-ზე მეტი შემოვიდა. ამათგან 200 უკვე დაკმაყოფილდა.

წითელი დროშა უპარტიოთაგან

ბაქო. 4 ივნისი. ბიბიეიბათის რაიონის მეერეთათვის მრეწველობის უპარტიო მუშებმა როდესაც შეიტყვეს ბაქოს პარტიულ კომიტეტის მე-12 ყრილობის მოწვევის ამბავი, გადასწყვიტეს მიესალმონ მას, როგორც ბაქოს მუშათა ავანგარდს და მიირთვან წითელი დროშა.

მუშათა ბინები

ბაქო. 4 ივნისი. ლეიტენანტ შმიდტის სახელობის ქარხნის უჯრედმა იკისრა მუშებისათვის 12 ბინის აგება და ამ მიზნით ორჯელ მოაწყო შაბათობა.

სომხეთი

აღმშენებლობა სომხეთში.

ერევანი. 4 ივნისი. კვირის ნომერი ჟურნალ „ხორურდაი აიასტანი" გამოვიდა სომხეთის სააღმშენებლო მუშაობის დასურათებით. საბჭოთა სომხეთის ლოზუნგები: 1920 წელს—საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, 1921 წ.—მშვიდობიანობა, 1922 წ.—პური, 1923 წელს—არხები, 1924 წ.—და მას შემდეგ ელექტროფიკაცია და ქარხნები.

განზრახულია გაფართოება ამხ. შაუმიანის სახელწოდების არხისა, და ელექტრო-სადგურის აგება, რომელიც უნდა მოემსახუროს ერევანს, მის სანახებს, კამარლოს და აშთარაქს.

მოსავალი იქნება

ერევანი. 4 ივნისი. ჭირნახული ერევნის მაზრაში მერყეობს საუკეთესოსა და საშუალოს შორის.

დაწესებულებათა გაწმენდა.

ერევანი. 4 ივნისი. სომხეთის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით შესდგა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს დაწესებულებები გასწმინდოს არასასურველ ელემენტებისაგან.

წერაკითხვის უცოდინარობას ბოლო ელება

ერევანი 4 ივნისი. სახალხო განათლების კომისარიატში, ამხ. მრავიანის თავმჯდომარეობით და დაინტერესებულ დაწესებულებათა წარმომადგენლების თანადასწრებით მოხდა თათბირი ჯარში გაწვევამდე ახალგაზრდობაში წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად. მიღებულია მთელი წყება სათანადო დადგენილებათა. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ.

ახალგაზრდა პროლეტარი მწერლები.

ერევანი. 3 ივნისი. სომხეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასთან დაარსდა სექცია ახალგაზრდა პროლეტარ მწერლებისა, რომელშიაც შედიან კომუნისტურ ახალგაზრდობის მწერლები, თავმოყრილნი ჟურნალ „ავანგარდ"-ის გარშემო.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ერევანი. 3 ივნისი. ყველა მაზრებში დაიწყო სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საორგანიზაციო მუშაობა. ყველა კუთხეებიდან იტყობინებიან, რომ მუშაობა წარმატებით მიდის.

წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.

დელიჟანი. 3 ივნისი. ლორის მაზრაში—ზამთარში მოქმედებდა 45 სკოლა წერაკითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. ეხლა მინდვრის მუშაობის დაწყების გამო, მეცადინეობა შესწყდა.

პარტიული ცხოვრება

მელითონეთა კომუჯრედის მუშაობა.

1 ივნისს საბჭოთა სახლში, № 1 შესდგა ლითონზე მომუშავეთა კომუჯრედის სხდომა, რომელსაც უპარტიონიც დაესწრენ. ამხ. ვართანოვი თითოეულ წევრის გამოკითხვიდან დარწმუნდა, რომ კომუჯრედს დაუმსახურებია უპარტიო მასსის ნდობა. ისინი თანაგრძნობით ეკიდებიან საქმეს და კომუჯრედის საერთო საქმიანობაში ებმებიან.

კოოპერაციაში.

კოოპერაციის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ელიაზაროვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კოოპერაციას აკლია მუშაკები და საჭიროა მათი ორგანიზაცია საკოოპერაციო საქმის წარმატებისათვის. სხდომამ შესაფერი რეზოლიუცია გამოიტანა: დაარსდეს საკოოპერაციო მუშაკთა მოსამზადებლად სკოლა. საუბნო კომიტეტს ეთხოვოს, რომ გადაჭრით და გადაუხვევად გაატარონ კოოპერატივის გარდაქმნა ნამდვილ მუშურ დაწესებულებად, და გააძლიერონ მუშაობა კოოპერატორთა მოსამზადებლად.

დახმარება სოფელს.

ამხ. შამიჩმა მოხსენება გაუკეთა კომუჯრედს, სოფ ოლგინსკში გაგზავნილ კომისიის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სოფელი მოკლებულია ლიტერატურას. ესაჭიროება ბიბლიოთეკა, სკოლა და აგრეთვე სასოფლო მეურნეობის იარაღები. კომუჯრედმა დაადგინა: გაიგზავნოს საწყობებში მომარაგებული წიგნები, ბიბლიოთეკის დასაარსებლად და აგრეთვე საჩუქრათ გაეგზავნოს 1 საბჭოთა ქარხნიდან 1 გუთანი, მე-2 საბჭოთა ქარხნიდან—2 სიმინდის საცეხველი, ეს იარაღები უნდა დაეთმოს უღარიბეს მოსახლეობას და წითელ-არმიელთა ოჯახებს.

სოფელთან კავშირი გაიბას არა მხოლოდ ქაღალდზე დაწერვით, არამედ საქმითაც. პირველი საძირკველი ჩაიყარა.

მოგვბაძეთ ჩვენ.

ვ—დია.

ქ. ფოთი.

გადამტვირთველ მუშათა კავშირში.

ქ. ფოთის ნავსადგურის გადამტვირთველთა კავშირში თამამად შეიძლება ითქვას, რომ პარტიული მუშაობა სასურველი ტემპით სწარმოებს; კავშირის წევრთა საერთო რიცხვიდან 700 კაციდან პარტიული ამხანაგებია 114 კაცი. კვირაში ერთხელ ხდება კომუჯრედის კრება, რომელსაც ამხანაგები დაუკლებლივ ესწრებიან.

კომუჯრედის ყოველ მორიგ სხდომებზე გვესწრება ამხ. ბ. გოგია, რომელიც კითხულობს სხვადასხვა თემებზე მოხსენებებს, უჯრედი სასტიკ ბრძოლას აწარმოებს: ლოთობის, კარტის და ნარდის თამაშის წინააღმდეგ; ამ უსაქციელო მოქმედების მოსასპობად კავშირის გამგეობამაც გაბედული ნაბიჯი გადასდგა, არჩეულია სამეული, რომელიც თვალყურს ადევნებს ასეთ მოქმედებას, როგორც პარტიულ ისე უპარტიო ამხანაგებზე. სამეულმა გამოიმუშავა შემდეგი სასჯელი იმ პირებზე, რომელნიც გამოდიან მთვრალი ბაზარში და არღვევენ მყუდროებას. 1-ლ შემთხვევაში 15 დღით იხსნება თანახმად სამეულის დადგენილებისა, მე-2 შემთხვევაში ერთი თვით და მე-3 შემთხვევაში კი სრულიად დათხოვნილი იქნება სამუშევრიდან.

საერთოთ მუშაობა უპარტიო მასაში კარგათ მიმდინარეობს, უკეთესად შეიძლება მოეწყოს, რომ უბინაობა ხელს არ უშლიდეს, მაგრამ ახლო მომავალში ბინისაგან უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი კავშირის მუშები; შენდება „მუშათა სასახლე" ორ-სართულიანი, სადაც მოთავსდება თეატრი მუშებისათვის, ბიბლიოთეკა, სასადილო, კოოპერატიული საჭარო და სხვა ბევრი ასეთები, რომელიც აუცილებელი საჭიროა მუშებისათვის. სასახლის აშენება დამთავრდება ორი თვის განმავლობაში. სააღმშენებლო თანხა უმთავრესად მუშებისაგან არის შეგროვილი სასახლის დასრულებამდე ჯერჯერობით დაქირავებული გვაქვს კვირაში ერთხელ თეატრი „კომეტა", სადაც იკრიბება მთელი კავშირის მუშები, იკითხება ლექცია-მოხსენებები და იმართება წარმოდგენები.

მუშა-კალანდაძე.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.

(5 ივნისი)

ჩერვონცები—11,525 ათასი.
გირვან. სტერ.—12,950 ათასი
დოლარი (ჩეკები)—3,100 ათასი
ლირა ქაღალდის—2050 ათასი.
საბჭ. ფულ. ნიშნ.—20,5 ათასი.

5 მაისის ოფიციალური გარიგებანი.

400 ბოჩკა ცემენტი რუსეთის 1,45 ჩერვონეცი ბოჩკა, 700 ფუთი მარილი, 0,129 ჩერვონეცი ფუთი, ერთი ვაგონი ყუბანის ფქვილი, 2,600.000 მანეთი ფუთი.

მუშკოოპის ფასები.

(5 ივნისი)

პური თეთრი—45 ათასი, თეთრი ფქვილი—100, ფქვილი მეორე ხარისხის—70, ფუმფუმა,—30, ლობიო 25—30, საპონი „ბაბიტ"—350, საპონი „ტოლლე"—340, მარმარილოს საპონი ადგილობრივი—330 ათასი.

საქონლის ბაზრის ფასები.

(ბითუმათ.)

ფქვილი თეთრი—3,600 ათასი, ყუბანის ფქვილი—2800—3100, ფქვილი ადგილობრივი—1800—1900, ხორბალი ყუბანის—1700—1800, ხორბალი ადგილობრივი—1500, ლობიო—600—1000, შაქარი რაფინადი—17 000, კარაქი—25000, ბრინჯი—7500.

ძვირფასი ლითონების კურსი

(5 ივნისი)

(ჩერვონცებში.)

ოქრო 96 სინჯის—7 მ. 35 კ.; ოქრო 56 სინჯ.—3 მ. 67 კ.; ვერცხლი 84 სინჯის—მისხალი 14 კ., ვერცხლის ხურდა ფული 1 მან.—37 კ.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

(5 ივნისი).

დილით დიდი მოთხოვნილება იყო ჩერვონცებზე. მიწოდება ვერ ფარავდა მოთხოვნილებას. ასევე ითქმის სხვა ვალიუტაზე, თუმცა მათზე მოთხოვნილება უფრო ნაკლები იყო.

საქონლის ბირჟის მიწოდება.

მზესუმზირას ზეთი, ტომრები, მატყლი, შაქარი—რაფინადი, შაქარი—ფხვნილი, მედიკამენტები, რკინეული, წებო, მარილი, მატყლი თუშეთის, ბაწარი წვრილი, სოდა კაუსტიური, ფუმფუმა რუსეთის, ლურსმანი, ჩაი „ვერმეს", მაკარონი, ვერმიშელი, ნაწლევები, საპონი მარსელის. პარაფინი, თამბაქო სოხუმის და ლაგოდეხის.

ბირჟის მოთხოვნილება.

მავთული რკინის № 14, შაქარი—ფხვნილი, ბრინჯი, მარილი, ბაწარი, მაკარონი, ჩაი, თამბაქო სოხუმის და ლაგოდეხის, გოგირდი, შაბიამანი, ბამბა, მატყლი, ლურსმანი, ყუბანის ფქვილი, ფქვილი პირველი ხარისხის. ბრეზენტი, ფეხსაცმელები.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის განწყობილება ხასიათდება პურის პროდუქტების ნაკლებობით. სხვა ცვლილება არ მომხდარა. ხორბალზე ფასები უცვლელია.

საქონლის ბირჟის მოქმედება.

(მაისში)

მაისის განმავლობაში ბირჟაში მოვიდა სულ 670 კაცი, ამათგან 463 წევრი, დანარჩენები კი შემთხვევით მომსვლელ-საფონდო ხელშეკრულება დაიდვა 537, საქონლის—24, სულ—561.

საფონდო ოპერაციების ჯამი (ჩერვონცებში) უდრის—75,253 ჩერვონეცს, ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით (ათას მანეთებში)—739, 283, 820. საქონლის ოპერაციების ჯამი უდრის—8,361 ნახ. ჩერვონეცს ანუ 80 064 770 ათას მანეთს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით. სულ საერთო ოპერაციების ჯამი—83614 ნახ. ჩერვონეცი ანუ 819 348.590 ათასი მანეთი ამიერ კავკასიის ბონებით.

ამ თვეში მყიდველები უმთავრესად იყვნენ კერძო პირები—368, მეორე ადგილი უჭირავთ სახელმწიფო ორგანოებს—159, მესამე—კოოპერატივებს—13 ყიდდენ უმთავრესად სახელმწიფო ორგანოები—286, კერძო პირები—150, საზოგადოებრივი ორგანიზაციები—74 და კოოპერატივები—51.

სავალიუტო ოპერაციების სურათს იძლევა შემდეგი ციფრები:

შეიძინეს ვალიუტა (ჩერვონცებში) სახელმწიფო ორგანოებმა—45.105, კერძო პირებმა—26,545, კოოპერატივებმა—2759 და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა—844.

გაყიდეს ვალიუტა (ჩერვონცები):—სახელმწიფო ორგანოებმა—40417 საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა—22370, კოოპერატივებმა—2988 და კერძო პირებმა—9478.

საქონლის ოპერაციების სურათს იძლევა შემდეგი ციფრები:

შეიძინეს საქონელი: სახელმწიფო ორგანიზაციებმა—6165 ჩერვონცის, კერძო პირებმა—2181,5 და კოოპერატივებმა—15 ჩერვონეცის.

გაყიდეს საქონელი: სახელმწიფო ორგანიზაციებმა—5656 ჩერვონეცის, კოოპერატივებმა—26,5 და კერძო პირებმა—2679 ჩერვონეცის.

რ. ს. ფ. ს. რ. საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებაში.

საქონლის გასაღების მიზნით სინდიკატმა ყველა საქონელზე დაუკლო ფასები დაახლოებით 7 პროცენტით. ამ რიგად სინდიკატი ვაჭრობს მოსკოვის ფასებში მცირეოდენის დამატებით.

სინდიკატის განყოფილების გახსნა საშუალებას აძლევს სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატივებს მოსკოვის ნაცვლად განყოფილებაში შეიძინონ საქონელი და ამით აიცილონ ზედმეტი ხარჯები.

საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკები მოსკოვის გამოფენაზე

საქართველო და მისი შემადგენელი ავტონომიური რესპუბლიკები დიდ მზადებაში არიან, რომ ჯეროვანი მონაწილეობა მიიღონ ა. წ. აგვისტოში განზრახულ სრულიად რუსეთის სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე. ჩვენი რესპუბლიკის ყველა თვალსაჩინო სამეურნეო დაწესებულება ახდენს სპეციალ ძალთა მობილიზაციას, რომ არ დარჩეს არაფერი საყურადღებო და მნიშვნელოვანი გარეშე გამოფენისა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება, როგორც რუსეთის სამეურნეო-ეკონომიური წარმატებისათვის საერთოდ, ისე ყველა მის თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკისათვის კერძოთ. ჩვენი ქვეყანა, უმთავრესად წარდგენილი იქნება მოსკოვის გამოფენაზე, როგორც უაღრესად სოფლის მეურნეობის ქვეყანა. ამიტომ ყველა სამეურნეო უწყებათა შორის ყველაზე მეტი მუშაობა და მზადება ამ გამოფენისათვის სჭირდება მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატს. იგი ვალდებულია, რომ ყველა ჩვენ მეზობლების და მოკავშირეებისთვის გაუცნობელი არ დასტოვოს საქ. ბუნება და მისი ნაწარმოები, რომელიც სხვებისაგან დიდი მრავალფეროვანებით და სხვა და სხვათა მით განირჩევა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა გამოფენაზე ექნება საქ. სუბ-ტროპიკულ მცენარეულობას რომელიც გავრცელებულია შავი ზღვის ნაპირებზე საზოგადოთ და კერძოთ აჭარაში.

აჭარა.

აჭარისტანის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატისგან ჯერჯერობით უკვე დამზადებულია ათასი სხვა და სხვა ექსპონატი, რომელიც ახასიათებს უმთავრესად აჭარის სუბ-ტროპიკულ კულტურას და სასარგებლო ტეხნიკურ მცენარეულობას. მხურვალე მონაწილეობას ღებულობს სხვათა შორის ჩაქვის სახალხო მამული თავის ჩაის პლანტაციებით, მანდარინებით, ბამბუკებით, ლიმონებით, ზეთის-ხილით და სხვა სუბ-ტროპიკული მცენარეულობით. მზადდება ჩაის, ბამბუკის, ზეთის, კამფორის და სხვა წარმოებათა ექსპონატები—ჩაქვის ქიმიურ საცდელი დაწესებულებებში. ბათომის ბოტანიკური ბაღი გამოაფენს სუბ ტროპიკულ-ტეხნიკურ მცენარეულობების ვრცელ ასორტიმენტს. ბათომის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს გამოფენაზე თავის პარკ-ბაღებიდან, ორანჟერეებიდან და პლანტაციებიდან დეკორატიულ მცენარეთა თვალსაჩინო და მნიშვნელოვან ნიმუშებს. ზოგიერთი სამეურნეო ორგანოები, მაგ № 1 და აგრეთვე სხვაც გამოფენაზე მოაწყობს ციტროსულ მცენარეებს და ხილების პლანტაციებს, მაგ. მანდარინების, ლიმონების, ცედროტების და სხვა პლანტაციებს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივ სამეურნეო ორგანოებს გარდა, მონაწილეობენ კერძო მეურნე-მწარმოებელნი. მათგან უმთავრესად გამოფენილი იქნება ხილეულობის სხვა და სხვა ფასის კონსერვები. ბამბუკის ხისგან ნაკეთები სხვა და სხვა საწყო-იარაღები, ყვავილნარი, ბაღების სხვა და სხვა—ჯიშები, სხვა და სხვა ხასიათის ბოსტნეული და ბევრი სხვა. ექსპონატების დამზადებას და დაგროვებას ხელმძღვანელობს აჭარისტანის მიწად-მოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ლორთქიფანიძე, ამ მიზნით კომისარმა შემოიარა აჭარის ყოველი კუთხე და დააგროვა მრავალი ექსპონატი უმთავრესათ შინა-მრეწველობის და საოჯახო ყოფაცხოვრების დამახასიათებელი და სხვა. ცხოველმონაწილეობას ღებულობს ექსპონატების დამზადებაში აჭარის სატყეო განყოფილების გამგე ამხ. ნ. ხეიძე, იგი თავს უყრის მრავალ ექსპონატს, რომელიც აჭარის ტყეების სიმდიდრისა და სიუხვის ცოცხალი ილიუსტრაცია იქნება. ხის დამამუშავებელ ქარხნების გამგე ფომენკო ამზადებს სხვა და სხვა გვარი ფანერის ნიმუშებს და აგრეთვე ხის მრავალგვარ მასალას ავიაციისათვის გამოსადეგს; აგრონომები ბოგდანოვი და ოლენია ვიშკოვი ამუშავებენ სტატისტიკურ მასალას დიაგრამების ცხრილების, კარტოგრამების სახით და ადგენენ აჭარისტანის სასოფლო მეურნეობის ვრცელ მიმოხილვას.

აჭარის მრავალ ფეროვანი და უხვი ბუნება და აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ენერგიული მუშაობა და მზადება,—საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აჭარის განყოფილება მისი სუბ-ტროპიკული კულტურით იქნება ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი განყოფილებათაგანი მოსკოვის უდიდეს გამოფენაზე.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში.

მარქსისტული წრე.

ქართულ მუშათა ფაკულტეტის კულტგანყოფილება შეუდგა საჭირო სამზადისს და მომავალ სამოსწავლო წლიდან პოლიტგანათლების წრის მაგივრად უნდა მოაწყოს მარქსისტული წრე.

სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭო.

სამხრეთ-ოსეთის პროფსაბჭოს კულტმუშაობა კარგ ნიადაგზე აქვს დაყენებული. მან მოაწყო თეატრი და დააარსა დრამატიული წრე. წრეს განზრახული აქვს დასდგას მხოლოდ რევოლიუციონური პიესები.

ქართულ მუშფაკზე.

მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში ქართულ მუშათა ფაკულტეტზე ჩატარდა სოციალური და აკადემიური წმენდა. აკადემიურ წმენდის შემდეგ დაითხოვეს 34 კაცი სოციალურის შემდეგ 48 კაცი. ა. ჟამად კი ფაკულტეტზე ირიცხება სულ 279 მსმენელი.

ცენტრ. მუშათა კლუბში.

ზაფხულის განმავლობაში ცენტრალურ მუშათა კლუბში განზრახულია საბავშვო თეატრის და სავარჯიშო მოედნის მოწყობა.

მიწა-ტყის კავშირში.

მუშების დაზღვევა.

ცენტრ გამგეობამ ადგილკომებს დაუგზავნა დამზღვევ კასის მიერ შედგენილი და გამოცემული კანონთა კრებული დაზღვევის წესების შესახებ და წინადადება მისცა მათ ფართოთ გააცნონ მუშა-მოსამსახურეებს მისი შინაარსი.

წამლები მუშებისთვის.

გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა დამზღვევ კასის წინაშე, რომ მან დაუთმოს ქინა-ქინა იმ მუშა-მოსამსახურეთ, რომელნიც საზაფხულო სამუშაოზე მიემგზავრებიან სოფლად.

დახმარება უმუშევრებს.

გამგეობა დახმარებას უწევს კავშირის უმუშევარ წევრებს. ფულით დახმარება მიეცა ოც უმუშევარ მუშას, თითოზე ორ-ორ მილიონ მანეთის მიცემით.

აგარაკი „არაზინდო".

თანახმად ყრილობის დადგენილებისა მიწა-ტყის კავშირმა წინადადება მისცა ადგილკომებს აგარაკ „არაზინდოს" სასარგებლოდ შეგროვილი თანხა გადმოგზავნონ ცენტრ. კავშირში შემომწირველთა სიის წარმოდგენით.

მეტყევეთა კავშირში.

ურთიერთ დამხმარე კასა.

მეტყევეთა კავშირის ურთიერთ დამხმარე კასამ თავის წევრთ მაისის მეორე ნახევარში სესხის სახით მისცა საქონლის 36 მანეთი.

დელეგატების არჩევნები.

მეტყევეთა კავშირის საქალაქო ყრილობამ სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მესამე ყრილობაზე დასასწრებლად აირჩია დელეგატებად შემდეგი ამხანაგები: მორჩილაძე, სააკოვი და ხანგულიანი.

კოლექტიური ხელშეკრულებები.

კავშირმა 1 ივნისიდან „კომუნისტურ საზოგადოება"-სთან და ა. კ. საქანკომთან გააგრძელა კოლექტიური ხელშეკრულებანი. ხელშეკრულების ძალით მუშათა ხელფასი გადასინჯული იქნება.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში.

ცენტროტრამოტა.

ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის პრეზიდიუმმა წინადადებით მიმართა ცენტროტრამოტის კოლეგიას, რომ მან მოახდინოს სწორი აღრიცხვა საქართველოს რესპუბლიკის ყველა ავტო-ქონების შემდეგ ასეთივე აღრიცხვა გაატაროს ამიერ-კავკასიის ფარგლებში.

სამეურნეო ორგანოები.

პრეზიდიუმმა დაადგინა: მოიწვიოს აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელთა თათბირი და დასვას საკითხი ტრანსპორტის სამეურნეო ორგანოების სრული რეორგანიზაციის შესახებ.

პლენუმის მოწვევა.

პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: პროფკავშირთა ყრილობის შემდეგ მოიწვიოს გაფართოებული პლენუმი რესპუბლიკანურ მაშტაბით.

ქრონიკა

სახ. კომისართა საბჭოში.

ორი სტიპენდია. სახ. კომისართა საბჭომ ილია ნაკაშიძის სახელის პატივისცემად დააწესა ორი სტიპენდია—ერთი მუშის შვილისათვის სახ. უნივერსიტეტის მუშათა ფაკულტეტზე და მეორე გლეხის შვილისათვის—საქ. ერთ-ერთ სამეურნეო ტეხნიკუმში.

განათლების კომისარიატში

— **ილია ნაკაშიძის ნაწერების გამოცემა.** განათლების კომისარიატი იმუშავებს სათანადო ხარჯთ-აღრიცხვას სახ. კომისართა საბჭოში წარსადგენათ ილია ნაკაშიძის რჩეული ნაწერების გამოსაცემათ.

— **მცირე-წლოვანი დამნაშავეები.** მცირე წლოვან დამნაშავეთა საქმეების განმხილველ კომისიის ცნობით მაისის განმავლობაში გარჩეულია 47 მცირე წლოვან დამნაშავის საქმე—აქედან ქურდობისათვის პასუხისგებაში მიცემული იყო 36, ავაზაკობისათვის სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის 6 და სხვა.

რკინის გზაზე.

— **ფეხსაცმელების გაყიდვა.** ა. კ. რკინის გზის მუშათა კოოპერატივის გამგეობა აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ 4-დან 25 ივნისამდე კოოპერატივში იწარმოებს ფეხსაცმლების გაყიდვა 10 პროცენტით დაკლებულ ფასებში.

შრომის ბირჟაში.

— **უმუშევრობა.** 2 ივნისს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 463 უმუშევარი, ჩაეწერა ამავე დღეს 132. გაიგზავნა სამუშაოზე 54, აქედან კაცი—43, ქალი—11.

სხვა და სხვა.

— **სამრეწველო გადასახადი.** 30 მაისამდე პირდაპირ სამრეწველო გადასახადისაგან ტფილისში შემოვიდა 155,000,000 მან.

— **ვერის ბორანის შეკეთება.** ქალაქის აღმასკომმა დაადგინა სასწრაფოთ შეკეთებული იქნას ვერის ბორანი.

— **ბრმების სკოლა.** პირველ ივნისამდე ბრმების სკოლაში ირიცხებოდა 39 ბავში. ბავშების მიერ დამზადებული ნივთები გაიყიდა სულ 59,550,000 მანეთის.

შემთხვევები.

გაქურდვა.

— მარტინოვის ქ. № 3, პატრონის შინ არ ყოფნის დროს გაქურდეს თინათინ ანთაძის ბინა, საიდანაც წაღებულია ტანთსაცმელი და სხვა საოჯახო ნივთები.

— კონდრატენკოს ქ. № 15, ბოროტ-მოქ. გაქურდეს კავკასიის მსროლელ პოლკის ფერშალი გიორგი ბედრიცკინი ბინა, საიდანაც წაიღეს სხვა და სხვა ნივთეულობა.

— ალექსანდრეს ქ. № 14 პატრონის შინ არ ყოფნის დროს ბოროტ-მოქმედებმა მორგებულ გასაღებით გააღეს პარმენ ჯიქიას ბინის კარები, საიდანაც გაუტანიათ 350 მილ. ღირებული სხვა და სხვა ნივთეულობა.

ქურდების შეპყრობა.

— მაქებარმა მილიციამ შეიპყრო პოლოსოვი, რომელმაც გაქურდა ქართულ დივიზიის სასურსათო საწყობი. პოლოსოვი დანაშაულში გამოტყდა.

— შეპყრობილი არიან ასტლიკ ბაგიმოვი და გასამ მუსტარ ოღლი, რომელთაც ბრალი ედება სისტემატიურ ქურდობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

მჭედლის სიმღერა.

აგუგუნებს სამჭედლოსა,—
ცეცხლის ქურას, გრდემლს და უროს,
რომ ბრძოლის და შრომის ფრონტსა
ორკეც ღონით ემსახუროს.
თვით ცეცხლია და ცეცხლს ებრძვის
შრომის გმირის მუშის გული,
ბრძოლის ცეცხლში და მახვილში
გაწვრთნილი და გამოზრდილი.
არის მუდამ გამურული...
ცეცხლის ალი სწვავს მის თმებსა,
აქნობამდის დაჩაგრული,
დღეს მტერს აფრქვევს ნაპერწკლებსა.
მჭედლის გულიც ქურა არის;
ცეცხლია მის გულის ძგერა.
მას სურს ცეცხლში გამოსჭედოს
მშრომელ ხალხის ბედის-წერა.
არ დასცხრება მუშის გული,
მანამდის არ დაისვენებს,
ვიდრე მტერს არ დაამარცხებს
მას გული არ მოუსვენებს.
აგუგუნებს სამჭედლურსა,
ცეცხლის ქურას, გრდემლს და უროს,
რომ ბრძოლის და შრომის ფრონტსა
ორკეც ღონით ემსახუროს.

მუშკორი გიორგი ხარხიშვილი.

სწავლა-განათლება საწინდარია მუშათა კლასის გამარჯვებისა

ამხანაგ მუშებს კარგად ახსოვთ წინანდელი ძველი რეჟიმის დრო, როდესაც მუშათა კლასს არ აძლევდნენ საშუალებას გათვითცნობიერებისა და წინსვლის. იმ დროს გაბატონებულ ჯგუფებს სურდათ, რომ განუვითარებელი მუშები ჰყოლოდათ. მაგრამ მუშათა კლასმა ეს დრო ოქტომბრის რევოლუციის ცეცხლითა და მახვილით დაამხო, დაანგრია და მის ნანგრევებზედ აღმართა წითელი დროშა, დროშა მაშვრალთა თავისუფლების და გამარჯვებისა. დღეს ჩვენ უკვე მოგვეცა საშუალება, სწავლა განათლების მიღებისა და მოვიპოვეთ ყოველგვარი ადამიანური უფლებები. ცოდნის პირველი წყარო ფაბკომებთან არსებული სასწავლებლები და მუშათა ფაკულტეტი, რომელიც ყოველგვარ უფლებებით აღჭურვილია მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მიერ, და აძლევს სათანადო განათლებას შრომის შვილებს, რის მაგალითიც ვარ მე პირადათ.

როდესაც მე ცოდნა არ მქონდა, ჩემთვის ყოველივე ის, რაც ჩემს გარშემო ხდებოდა, სრულიად გაურკვეველი იყო და დღეს კი, როდესაც ცოტად თუ ბევრად სწავლა შევიძინე, ჩემთვის ყოველივე ეს ნათელია, რის შემდეგ მე მეძლევა საშუალება უფრო ნათლად და მკაფიოდ შევისწავლო დიდებული იდეა, იდეა კომუნიზმისა, რომელზედაც დამყარებულია მსოფლიოს შრომის შვილთა კეთილდღეობა. ამისათვის ძვირფასო ამხანაგებო! გისურვებთ სწავლის ფერხულში ჩაბმას, რათა გაჰფანტოთ სამუდამოდ გონებების სიბნელე, რომელიც არის მიზეზი თქვენი სულიერი ტანჯვის და ყოველგვარი უბედურებისა.

მაშ, ისწრაფეთ თქვენც, ჩემებრ მუშათა ფაკულტეტისკენ და ერთად ვიბრძოლოთ განათლების ფრონტზედ წინ წასასვლელად. გაუმარჯოს მსოფლიო კომუნიზმს!

გაუმარჯოს განათლების ფრონტს, რომელზედაც მუშაობს მუშათა ფაკულტეტის სტუდენტობა! გაუმარჯოს ფაბკომებთან არსებულ სასწავლებლებს!

სწავლა-განათლება უტყუარი საწინდარია მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისა. ეს უნდა შეიგნონ ყველა მუშებმა და აავსონ მუშფაკები მოწაფეებით.

მუშათა ფაკულტეტის უპარტიო მსმენელი **ფეფუცა ირემაშვილი.**

ცენტროტრამოტის რკინის გზის განყოფილების მუშების მდგომარეობა.

(ცეკას სატრანსპორტო ქვ.-გან. საყურადღებოდ)

გაზეთ—„კომუნისტ“-ში იყო მოთავსებული წერილი ცეკას სატრანსპორტო განყოფილების საყურადღებოდ, რომელშიაც იყო აღწერილი ის აუტანელი მდგომარეობა, რომელშიაც უხდება აღნიშნულ დარგის მუშებს ცხოვრება, მაგრამ არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი მდგომარეობის გამოსასწორებლად არ მიუღია არც კავშირის და არც იმ გავლენიან ორგანოს, რომლის საყურადღებოდაც იყო მიმართული ის წერილი. რაშია საქმე? რა მიზეზებით ვართ ჩვენ ცუდ პირობებში? პირველი და მთავარი მიზეზი არის ის, რომ ჩვენი სამეურნეო ორგანო ღარიბია იმის გამო, რომ რკინის გზის სამმართველოსთან, აქვს მას დადებული ისეთი „კომერციული ხელშეკრულება,“ რომლებიც ცენტრამოტის ეკონომიურ მდგომარეობაზე გამანადგურებლად მოქმედობს და აქედან კი გამომდინარეობს 1760 მუშის უბედურებაც. მეორე მიზეზი ჩვენი მძიმე მატერიალური მდგომარეობისა არის რკინის გზებზე უფასოდ მგზავრობის უფლების წართმევა იმავე „კომერციული ხელშეკრულების“ ძალით. რა მდგომარეობას ქმნის ეს გარემოება? საქართველოს რკინის გზის ხაზზე მომუშავე 600 მუშა, რომლებიც გაფანტულნი არიან 200 მდე პატარა სადგურებში, სავსებით მოკლებულნი არიან საექიმო დახმარებას უფასო სამგზავრო ბილეთების უქონლობის გამო. მუშა, რომელიც ღებულობს თვეში 12 მანეთს, ვერ შესძლებს იმგზავროს იმ პუნქტამდე თავისი ხარჯით, სადაც მას და მის ოჯახის წევრებს შეუძლიან მიიღონ აუცილებელი საექიმო დახმარება და სხვა... ყოვლად მიუღებელია ამ უფლების წართმევა მუშებისთვის, რომლითაც ისინი სარგებლობდენ რკინის გზის დაარსების დღიდანვე და რაც მუშებში ტრადიციად გადაიქცა 20—25 წლის განმავლობაში.

ცენტროტრამოტის სიღარიბის დასახასიათებლად მოვიყვან შემდეგ მაგალითს: ეს დარგი თხოულობს აუცილებლად ზედმეტ საათების მუშაობას დღისით, ღამით და კვირა უქმე დღეებშიც. მარტის და აპრილის ზედმეტი საათების ნამუშევარი კი მუშებმა მიიღეს მაისის დამლევს თვითეულ საქონლის მანეთში—850 000 მან მაშინ, როდესაც საქონლის მანეთის ოფიციალური კურსი უდრიდა ორ მილიონ მანეთს კავშირი, პროფკავშირთა საბჭოს და შრომის კომისარი იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ ამ პირობებზე, იღებდნენ რა მხედველობაში ტრამოტის დავალიანებას. ჩვენ პარტიული ამხანაგები და უპარტიო შეგნებული მუშათა მასა დაინტერესებულნი, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი მეურნეობის აღორძინებაში, კერძოთ იმ დარგის აღდგენაში, რომლიდგანაც ჩვენ ვიღებთ საარსებო საშვალებას, მოვითხოვთ პროფკავშირთა საბჭოსაგან და ცეკას სატრანსპორტო განყოფილებისაგან მუშების ასეთ მდგომარეობას მიექცეს სერიოზული ყურადღება, სასწრაფოდ გადასინჯულ და შეცვლილ იქნას რკ. გზ. სამმართველოსთან დადებული ხელშეკრულება.

ადგილკომის თავმჯდომარე ვ. ანთიძე.

ავლაბრის მუშათა კლუბში.

ავლაბრის მუშათა კლუბთან არსებულმა ქართულმა დრამატიულმა წრემ, რომელიც შესდგება განაკუთრებით მუშებისაგან, კვირას 27 მაისს ნავთლუღში, საბარგო საწყობის კლუბში დადგა 5 მოქმედებიანი ცნობილი დრამა „დამარცხებულნი“ ირეთელისა პიესამ საერთოდ კარგათ ჩაიარა, მან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე, სამწუხაროდ, წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო და გაწეული ხარჯი ბევრად აღემატებოდა შემოსავალს მსახიობთ მაინც გული არ გასტეხიათ და პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ როლებს. დარწმუნებული ვართ, რომ პატივცემული ამხანაგები გაამართლებენ განაპირა უბნელების იმედს და სისტემატიურად მოაწყობენ წარმოდგენების მართვას, რითაც უფრო ადვილად მიიზიდავენ ნავთლუღის მუშებს და ამით გაუწევენ მათ დიდ სამსახურს თვით განვითარებაში.

აქ არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი დიდი ნაკლი, რომელსაც აქ აქვს ადგილი. საქმე შემდეგშია: წარმოდგენები აქ თავდება ძალიან გვიან, ღამის 1—2 საათზე, როგორც ეს მოხდა მაგალითად „დამარცხებულნის“ დადგმის ღამეს. ეხლა, თქვენ, წარმოიდგინეთ თუ რა დროს მიაღწევდნენ ბინაზე დაღლილ-დაქანცული მუშები და რა ძნელი იქნებოდა მათთვის დილა-ადრიან ქარხანაში გამგზავრება. წარმოდგენები უნდა იდგმებოდეს უფრო ადრე და თავდებოდეს საღამოს არა უგვიანეს 11 საათისა.

მუშა შაქრო ნავთლუღელი.

მუშათა ქრონიკა.

— **სამკურნალო დახმარება უმუშევრებს.** შრომის ბირჟაში აღრიცხულნი, და მასთან დაუზღვეველი უმუშევარნი ამბულატორიულ სამკურნალოში საექიმოდ მოსვლის დროს, ვალდებულნი არიან იქონიონ თან უმუშევრობის წიგნაკი იმის აღნიშვნით, რომ ისინი დაუზღვეველი არიან. მათ კი, ვისაც საავადმყოფოში სჭირდება მოთავსება, უნდა მიმართონ ქალაქ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებას.

— **მოზარდნი დასასვენებელ სახლში.** დამზღვევმა კასამ გადასწყვიტა, არ გამოჰყოს ცალკე დასასვენებელ სახლში გასაგზავნი მოზარდნი, არამედ გაგზავნოს ისინი საერთო წესით.

— **ფქვილი მუშა-მოსამსახურეთათვის.** ა. ქ. კოოპერატივმა კრასნოდარიდან მიიღო 4 ვაგონი პურის ფქვილი. მოელის კიდევ 5 ვაგონს. ფქვილი დაურიგდება მუშა-მოსამსახურეთ დიდად შეღავათიან ფასებში.

— **ლენინის სახელობის მუშათა სახლი.** ცენტრალურ საამშენებლო საბინაო საზოგადოებას „ცენტროსტროის“ პრეზიდიუმის დადგენილებით მიეცა 1.000 მან. ოქროთი ლენინის სახელობის მუშათა სახლის ასაშენებლად, რომელიც ამ ჟამად უკვე შენდება.

— **საზაფხულო თეატრი ნაძალადევის მუშებისთვის.** ნაძალადევის თეატრში 17 ივნისის შემდეგ (სეზონის დასასრულია) გაიხსნება საზაფხულო სეზონი მუშებისათვის. მოეწყობა სხვადასხვაგვარი საღამოები და კონცერტები.

— **საზაფხულო კლუბი.** საბჭოთა მოსამსახურეების კავშირი თავის წევრებისათვის ამ დღეებში ხსნის საზაფხულო კლუბს ყოფილ „არტის“ შენობაში, რომლის შეკეთებაც უკვე დაწყებულია.

ხელოვნება

ოპერის სეზონის შედეგები.

რეჟისორ წუწუნავას ბენეფისით დამთავრდა ოპერის 1922—23 წ. სეზონი.

თუ თვალს გადავავლებთ ოპერის მუშაობას წარსული სეზონის განმავლობაში, ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ: სერიოზული განზრახვებით და ფართო გეგმებით დაიწყო ვანო ფალიაშვილმა ოპერის სეზონი, დამაკმაყოფილებლად წაიყვანა მან იგი მიუხედავად მრავალი დაბრკოლებებისა, რომელნიც ხელს უშლიდენ ოპერის საქმის უმტკივნეულოდ განვითარებას, და დამაკმაყოფილებლადაც დაამთავრა იგი.

და ეს დიდი დამსახურებაა ივანე ფალიაშვილის ხელოვნების წინაშეც და რესპუბლიკის მთავრობის წინაშეც, რომელმაც მიზნად დაისახა კულტურის ყოველი დარგის განვითარება სახელმწიფოში; დიდი დამსახურება მიუძღვის ფალიაშვილს საზოგადოების წინაშეც. მართლადაც, არ შეიძლება უარყოფა იმისა, რომ ყველა ჩვენ, სრულიად ექსტრაორდინარულ სოციალურ ცხოვრების პირობებს განვიცდიდით, თუ გინდ ეკონომიკის მხრივ. ყოველდღიური ცხოვრების სიძვირე დღეებით კი არა—საათობით მატულობს,—მაგრამ ემჩნეოდა თუ არა ეს თეატრალურ (კერძოდ ოპერის) მოღვაწეობას. ხელოვნების ეს განყოფილება ყველაზე მეტ რაოდენობას მოითხოვს როგორც სცენის მუშაკების მხრივ, ისე დრამატიულ სოპრანოს emploi-ზე მოწვეულ სხვადასხვა მსახიობების მხრივაც.

ყველა ეს დეფექტები თითქმის არ სჩანდა ოპერის მოღვაწეობაში, რადგან რეპერტუარი შესაფერისად იყო შედგენილი.

ლირიულ ტენორის პარტიებს წარმატებით მღეროდა ჩვენი პრემიერი ვანო სარაჯიშვილი, დრამატიულ პარტიებს ასრულებდა მოქ. ბგრანოვსკი, რომელიც თუ რამეში ჩამოუვარდებოდა მოქ. კიპარენკოს,—ეს მხოლოდ სცენიურის მხრივ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ვოკალურის მხრივ.

ჩვენმა ახალგაზრდა ბარიტონმა ინაშვილმა ბარიტონ კრივანოვსკისთან ერთად თავის მხრებზე გადაიტანეს ბარიტონის მთელი რეპერტუარი, და საგასტროლოდ მოწვეულმა მოქ. ალეშკომ (ბეჟაიძე) სრულებით აამოავსო დრამატიულ სოპრანოს emploi-ს ცარიელი ადგილები.

მოქ. ბოგოლიუბოვის მაგივრად სხვა რეჟისორის პოვნა ძნელი იყო, მაგრამ მოქ. მარჯანიშვილის მოწვევით ოპერამ ბევრი მოიგო.

სამწუხაროდ, მოქ. მარჯანიშვილმა თავისი მხატვრული გემოვნება მხოლოდ რამოდენიმე ოპერაში გამოიჩინა, განსაკუთრებით კი ლოენგრინის დადგმაში. ქართული რეპერტუარის და კოლორიტის ოპერებს საქმის დიდი ცოდნით სდგამდა ა. წუწუნავა.

დანაკლისი სარეჟისორო ნაწილში აუცილებლად შევსებულ უნდა იქნეს მომავალ სეზონში, რადგან განა შეიძლება ისეთი საპასუხისმგებლო დარგის, როგორიც მხატვრული ნაწილია, სცენის ისეთი მოღვაწისათვის ჩაბარება, როგორიც მოქ. გურესია? ევროპიული და რუსული რეპერტუარის ოპერებისათვის საჭიროა ან მოქ. მარჯანიშვილის ან და სხვა ახალი მხატვარის მოწვევა.

სეზონის რეპერტუარი მრავალფეროვანი იყო. დადგმული იყო რამოდენიმე ქართული ოპერა, რომლებშიც პირველობა ისევ ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“-ს ეკუთვნის. სამწუხაროა, რომ ძვირად იდგმებოდა არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული ოპერების რეპერტუარი მომავალ სეზონში შეივსება ზაქარია ფალიაშვილის ახალი ნაწარმოებით „სოფლის დღესასწაული“. საკონცერტო ესტრადაზე შესრულებულ რამოდენიმე ნაწყვეტების მიხედვით, ზაქარია ფალიაშვილის ეს ოპერა არა ერთ ფოთოლს შემატებს კომპოზიტორის დაფნის გვირგვინს,—რადგან ეს ნაწარმოები ამტკიცებს კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის ნიჭის სრულ განვითარებას.

ამზადებენ აგრეთვე ვიქტორ დოლიძის ახალ ნაწარმოებს და ახალგაზრდა კომპოზიტორის ალე ფარცხალაძის ოპერა „მაია“-ს. მაგრამ ეს ნაწარმოებები ჯერ კიდევ in spe.— თუმცა დოლიძის ოპერა „ცისანა“ უკვე მზადაა.

რუსულ საოპერო მუსიკის დიდ ნაწარმოებიდან დადგმული იყო „ბორის გოდუნოვი“ და „თავადი იგორი“. დადგმული იყო ჩაიკოვსკის ოპერების მთელი რიგი (სასურველია მისი შემდეგი ოპერების დადგმა: ჯადოსანი, მაზეპა და ორლეანის ქალწული—ყველა ეს ოპერები ყოფილან დადგმული თბილისში და შეიძლება მათი წარმატებით დადგმა ეხლაც) დადგმული იყო „თოვლის ქანდაკი“ და „მეფის სარძლო“ რიმსკი-კორსაკოვის. (სასურველია მისი „სადკო“-სა და „ოქროს მამლის“ დადგმა)

ევროპიული რეპერტუარიდან დადგმული იყო „ლოენგრინი“ და ეს, როგორც მე უკვე ვსწერდი, მთელი მოვლენა იყო თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, დადგმული იყო მთელი რიგი იტალიანურ ოპერებისა, რომელთაგან ავღნიშნავ „ოტელლოს“. სასურველია „ჯიოკონდას“, „ვერტერის“, „სამსონ და დალილას“ და „ანდრე შენიეს“ დადგმა. ყველა ეს შესამჩნევად გადაახალისებდა რეპერტუარს.

მთელი სეზონის განმავლობაში ერთი დღე არ ყოფილა გამოტოვებული, როდესაც არ ყოფილიყოს ოპერა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ სცენის მუშაკებს თავის დროზე არ მიეღოთ ჯამაგირი, არ ყოფილა რაიმე დიდი დეფექტები დადგმაში და ბოლოს, როგორც ქრონომეტრივით, წარმოდგენები იწყებოდა გამოცხადებულ დროზე.

დიახ! ასეთი საქმე სერიოზული საქმეა, და სხვანაირი არც შეიძლება იყოს სახელმწიფო თეატრის სცენაზე. ზევით მე ვსთქვი იმ დაბრკოლებების შესახებ, რომელნიც ხელს უშლიდენ საქმის სწორად წაყვანას. ეს დაბრკოლებები იყვნენ შემდეგი: უპირველეს ყოვლისა არ ჩამოვიდა დრამატიულ ტენორის პასუხისმგებელ პარტიებზე მოწვეული მსახიობი კიპარენკო, რომელმაც უარი სთქვა ჩვენი საოპერო დასში მონაწილეობის მაღბაზე სეზონის გახსნის წინა დღეებში, შემდეგ პასუხისმგებელ დრამატიულ ბარიტონის გორელოვის დასიდან გამოსვლა, რომელმაც თავი დაანება მუშაობას დირექციის მიერ მის უსაფუძვლო მოთხოვნილების შეუსრულებლობის გამო და დასიდან ცნობილ რეჟისორის ბოგოლიუბოვის გამოსვლა, რომელმაც უფრო ხელსაყრელი სამსახური იშოვა ბაქოს საოპერო თეატრში.

მომავალ სეზონში საჭიროა ახალი ოპერების დადგმა. განსაკუთრებით სასურველია „ანდრე შენიე“, რომლის სიუჟეტი აღებულია საფრანგეთის დიდ რევოლუციიდან; სასურველია სიმფონიურ კონცერტების დადგმაც, ყველაფერი ამის მიღწევა შესაძლებელია, რადგან სახელმწიფო თეატრს მოეპოვება მშვენიერი ხოროც, ორკესტრიც და მაესტროც. შემდეგ საჭიროა დასის შევსება დრამატიულ სოპრანოს, ტენორის და ბარიტონის პარტიებზე პასუხისმგებელ შემსრულებლების მოწვევით, დანარჩენი პერსონალი კარგია. საჭიროა ქართული სიმფონიური კონცერტების გამართვა. კონსერვატორია მრავალ ახალგაზრდა მომღერლებს უშვებს, საჭიროა მათი მოწვევა ოპერის სცენაზე. მაგრამ ამაზე ცალკე წერილში, კონსერვატორიაში გამოცდების დასრულების შემდეგ.

ავღნიშნავ კიდევ ეროვნულ მუსიკალურ დღესასწაულებს. ეს სარაჯიშვილის იუბილე და ქართულ ეროვნულ ოპერის „აბესალომ და ეთერი“-ს მეასეჯერ წარმოდგენაა. ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც ძვირად ხდება ოპერის ისტორიაში.

მუსიკოსი.

— **პროლეტკულტში.** ოთხშაბათს, 6 ივნისს, საღამოს 6 საათზე მოხდება პროლეტკულტის რუსულ სექტორის სტუდიელების გამოცდები.

— **მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის გამოფენა.** მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის გამოფენა გადატანილი იქნა რუსთაველის თეატრში (ზედა სართულში). გამოფენაზე შესვლა შეიძლება დღისით 10—2 საათ. საღამოს 6—10 საათამდე.

— **მეიერხოლდის ჩამოსვლა.** ივნისის შუა რიცხვებში ტფილისში ჩამოვა ცნობილი რეჟისორი მეიერხოლდი, რომელიც წაიკითხავს რამდენიმე ლექციას თეატრზე და დასდგამს პიესას: „მიწა ყალყზე“.

— **საქართველოს და სომხეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი.** 9 ივნისს ბაღში „საღამოს ზარებში“ საქართველოსა და სომხეთის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი საქველმოქმედო მიზნით გამართავს დიდ საღამო სეირნობას.

— **აკაკი ფალავას საღამო.** დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება [illegible] რეჟისორ აკაკი ფალავას საღამო ი. გრიშაშვილის მონაწილეობით. საღამო მრავალფეროვანია.

— **სახალხო სახლი.** 10 ივნისს დანიშნული სახალხო სახლის იუბილე გაიმართება 17 ივნისისათვის.

— **შიო მღვიმელის იუბილე ბათომში.** მაისის 31-ს ქ. ბათომში დიდი ზეიმით გადაუხადეს 35 წლის სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის იუბილე ბავშვთა მგოსანს შიო მღვიმელს.

პროვინციაში

პრიუტის რაიონი (თბილისის მაზრა).

პრიუტის თემში შედის 19 სოფელი 3 ათას მცხოვრებით. არსებობს კლუბი და სამკითხველო. ეკლესია ჯერ-ჯერობით დაუხურავია. არსებობს სკოლა, მაგრამ მეცადინეობა მოიკოჭლებს. გაზაფხულობით ბავშვები სკოლაში ნორმალურათ არ დადიან, ხშირათ სტოვებენ სასწავლო დღეებს. ამით თავის თავსაც ზიანს აყენებენ და მასწავლებელსაც სწავლების ხალისს უკარგავენ. აქვე არსებობს საექიმო პუნქტი, მაგრამ მით სანახევროთ სარგებლობენ. საექიმოთ დადიან მარტო მამა-კაცები, რადგან ექიმი ქალი იქ არ არის და ქალები ექიმ კაცს გაურბიან. საჭიროება მოითხოვს, რომ დანიშნულ იქნას ფერშალი ქალი მაინც, რითაც საშუალება მიეცემა ამ რაიონის ქალებს იექიმონ. სასწავლებელი მოთავსებულია საკუთარ შენობაში, რომელიც თხოულობს შეკეთებას. საექიმო პუნქტი და სატყეო განყოფილება მოთავსებულია დაქირავებულ შენობაში. ტყის დაცვა, ტყის მცველთა შტატის შემცირების გამო, ვერ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. რევოლუციამდი აქ იყო 12 ტყის მცველი, ეხლა კი ერთი ტყის მცველი, ერთი უფრ. ტყის მცველი და ერთიც ტყის გამგის თანაშემწე.

პრიუტის თემს აქვს სახილე ბაღი სახელწოდებით „წინ—ვენახი“—6 დესიატინა. ეს ბაღი მშვენიერ სანიმუშო ბაღად ჩაითვლება. გაშენებულია ტერასებზე და დაცულია ქარისაგან. ხეების შემადგენლობა მრავალფეროვანია, მაგრამ, სამწუხაროდ, ბაღი ვერ არის სათანადოთ მოვლილი და თითქმის მიგდებულია.

მიწის რეფორმა ჯერ სავსებით არ დამთავრებულა. ამ დღეებში მოელიან მიწის მზომელს.

მ. ხუხუნაიშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო.

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით ჩემი და ქმრის სახელით ულრმესი მადლობა გადაუხადო ქ. ქუთაისის მოქალაქეებს, მასწავლებლებს და მოწაფეებს, რომლებმაც პატივი გვცეს ჩვენი უდროოთ გარდაცვლილი, ქუთაისის მესამე შრომის შკოლის მოწაფის თამარას დასაფლავებაზე დასწრებით.

ნ. პლეშკოვიხა.

ჩვენი ფოსტა

ავტორს წერილისას, რომელსაც მოწერილი აქვს: „მცხოვრებლები ალექსანდრეს ქუჩაზე № 40“. შემოიარეთ რედაქციაში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

საერთო წესები

ადგილობრივი გადასახადისა რკინის გზით და საზღვაო გზით შემოტანილ და გატანილ ტვირთზე.

§ 1. ადგილობრივ მნიშვნელობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად რკინის გზისა და საზღვაო გზებით შემოტანილ და გატანილ ტვირთზე გადასახადი შეიძლება დაწესებული იყოს სადგურებში და ნავთსადგურებში: 1) რომელნიც მდებარეობენ ქალაქების ფარგლებში (ქალაქებისა. დაბებისა). ან 2) რომელნიც ამ ადგილებს ემსახურებიან, ან 3) რომელნიც მდებარეობენ საქარხნო-საფაბრიკო რაიონებში და ან 4) რომელნიც ამ რაიონებს ეკვრიან.

შენიშვნა 1: სადგური, ან ნავთსადგური ქალაქ ადგილას, ან საქარხნო-საფაბრიკო რაიონის ხელშემწყობად შეიძლება აღიარებულ იქნეს აღმასკომის მიერ სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დამტკიცებით.

შენიშვნა 2: პირველ მუხლში აღნიშნულ ტვირთებს ეკუთვნის აგრეთვე ნავთის პროდუქტები, გადმოქაჩული ნავთსადენის საშუალებით.

§ 2. იმ წესებით შემოღებულ გადასახადის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთჯერ მეტს, ხოლო შემოტანილ საგრილობელ და მაგარ სასმელებზე ოცდა ათჯერ მეტს საფუთო, საცალო ან სავაგონო ძირითად სარკინიგზო ტარიფის განაკვეთისა ამ ტვირთის თვითეულ ვერსზე გადაზიდვაზე როგორც რკინის გზით, ისე საზღვაო გზით (დეკრეტი 1923 წ. აპრილის 2-ს თარიღით, განყოფილება მე-2, განყ. 3, მუხლი 13) ქალაქებში (და მუხლი მე-3) ქალაქ გარეთ ადგილებში (და დეკრეტი 1922 წ. დეკემბრის 5-ს თარიღით).

შენიშვნა: სარკინისგზო და საზღვაო გზებით შემოტანილ და გატანილ ტვირთის ადგილობრივ გადასახადის რაოდენობის გამოსარკვევად ძირითად სატარიფო განაკვეთად მიღებულ უნდა იქნას განაკვეთი ტვირთის ერთს ვერსზე გადაზიდვაზე, რომელიც ნაჩვენებია გადასაზიდ ფასების სქემებში როგორც ნორმალურ 12 კლასით, ისე საგანგებო სქემებში, რომელიც მოთავსებულია რკინის გზებით გადასაზიდ ტვირთის საერთო ტარიფების მე-2 და მე-3 ნაწილში (რკინის გზების უწყების და საზღვაო ტრანსპორტის ტარიფთა კრებულის დამატება № 68, ტარიფი № 15).

§ 3. მე-1 და 2 მუხლში გადასახადს ტვირთზე სადგურებში და ნავთსადგურებში აწესებენ სათანადო აღმასკომები სათანადო რესპუბლიკათა ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა დამტკიცებით:

შენიშვნა: რომელიმე სადგურზე, ან ნავთსადგურზე შეიძლება ტვირთზე გადასახადის დადება მხოლოდ ერთის რომელიმე აღმასკომის დადგენილებით.

§ 4. გადასახადისაგან თავისუფალია: ტვირთი, რომელიც ამა თუ იმ სადგურსა და ნავთსადგურში ტრანზიტით მოდის, სამხედრო ტვირთი, საფოსტო; საფოსტო ტვირთი, რომელიც რკინის-გზას ან საზღვაო უწყებას ეკუთვნის, ტვირთის სახით გადმოზიდული ძვირფასი ღირებულებანი ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მგზავრთა ბარგი და ის ტვირთი, რომელიც მიაქვთ სტიქიურად დაზარალებულ მოსახლეობის დასახმარებლად.

შენიშვნა 1: დაწვრილებითი აღწერა ამ მუხლში აღნიშნულ ტვირთის თვითეულ კატეგორიისა ნაჩვენები იქნება ფინანსთა სახალხო კომისარიატის საგანგებო ინსტრუქციაში.

შენიშვნა 2: სამხედრო ტვირთს არ ეკუთვნის ის ტვირთი, რომელსაც სამხედრო უწყებისთვის გზავნიან მოიჯარადრენი და სხვა პირნი.

§ 5. ადგილობრივს აღმასკომებს უფლება ეძლევათ გადასახადი დააწესონ ყველა ტვირთზე კი არა, არამედ ზოგიერთზე, ან გამონაკლისი შეადგინონ ამა თუ იმ ტვირთისთვის და დანიშნონ სხვა და სხვა კატეგორიის ტვირთზე სხვა და სხვა განაკვეთი და გადასახადისაგან განთავისუფლონ სადგურებში და ნავთსადგურებში შემოტანილი, ან იქიდან გატანილი ყველა ან ზოგიერთი ჯურის ტვირთი, ხოლო უფლება არა აქვთ, რომ შემოტანილ ტვირთზე დააწესონ ნაკლები განაკვეთი, ვიდრე გატანილ ტვირთზე.

§ 6. აღმასკომის სხდომის დღე, როდესაც განხილულ უნდა იქმნეს საკითხი ამ სატრანსპორტო ტვირთებზე გადასახადის დაწესების შესახებ, წინასწარ უნდა ეცნობოს რკინის-გზისა ან საზღვაო სამმართველოს, რომელთაც უფლება ეძლევათ, თავისი წარმომადგენელი გაგზავნონ აღმასკომის სხდომაში მონაწილეობის მისაღებათ სათათბირო ხმის უფლებით.

§ 7. დადგენილებაში გადასახადის შემოღების შესახებ აღმასკომი განსაზღვრავს ამ გადასახადის რაოდენობას და გადასახადის ობიექტებს, აგრეთვე მის მოქმედების დაწყების ვადას, გადასახადის ანგარიშს და ანგარიშის წარმოების წესს, აღმასკომის კასაში გადასახადის გადაცემის წესს და ვადას (კვირაში არა ნაკლებ ერთისა), ზედმეტ გამორთმეულ გადასახადის დაბრუნების წესს, რკინის-გზისა, ან საზღვაო ტრანსპორტის აგენტებისათვის გადასახადის აკრების ოპერაციებისათვის ჯილდოს რაოდენობას და მის მიცემის წესს და უდგენს დასამტკიცებლად სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამართველოს (თანახმად ამ წესების მე-3 მუხლისა).

§ 8. სხდომის ოქმს, რომელზედაც გადასწყდა გადასახადის დაწესება ტვირთზე, უნდა დაერთოს ამ გადასახადის გადახდევინების დაწვრილებითი საანგარიშო ცხრილები თანდართულ ფორმით.

§ 9. აღმასკომის დადგენილება ამა წესების მე 3 მუხლში ნაჩვენებ წესით დამტკიცების შემდეგ ძალაში შედის იმ გზით, რომ გადასახადის გადახდევინების შესახებ წერილობითი შეთანხმება ხდება სათანადო ორგანოებთან (მე 6 მუხლში ჩამოთვლილთან), რომელნიც შემდეგში ყველა საჭირო განკარგულებას აძლევენ გადასახადის ასაკრებად და არა უგვიანეს სამის დღისა აღმასკომისაგან მიღების დღიდან გამოსაცხადებლად გზავნიან გზათა სახალხო კომისარიატის ტარიფთა კრებულში აღმასკომის ხარჯზე ყველა საჭირო ცნობას: სახელწოდება აღმასკომის, რომელიც გადასახადის შესახებ აცხადებს, სადგურები და ნავთსადგურები, სადაც შემოღებულ უნდა იქმნას გადასახადი, გადასახადის განაკვეთები (ნიხრები), დაწვრილებითი ცხრილები, აღმასკომის დადგენილების თარიღი და გადასახადის ძალაში შესვლის ვადა. იგივე ცნობები ქვეყნდება ადგილობრივ უწყებებში უშუალოდ იმ დაწესებულებების განკარგულებით, რომელმაც დაადგინა გადასახადის შემოღება.

შენიშვნა: შეთანხმების სამაგალითო ფორმა, ამ მუხლში ნახსენები, აქვე თანერთვის.

§ 10. გადასახადის გადახდევინება ევალება რკინის გზის სადგურებისა ან ნავთსადგურების აგენტებს და თუ გადასახადის გადახდევინების ასეთი წესი სრულიად შეუძლებელია ტექნიკურ პირობათა გამო, მაშინ ადგილობრივს აღმასკომს უფლება ეძლევა, რომ გადასახადის შემოღების დროს სადგურებზე და ნავთსადგურებზე თავისი აგენტები დააყენოს გადასახადის გადასახდევინებლად, ხოლო მათ უფლება არ ეძლევათ, რომ ტრანსპორტის აგენტების რაიმე ფუნქციებში ჩაერიონ.

§ 11. რკინის გზის სადგურებისა და ნავთსადგურების აგენტებისთვის გადასახადის გადახდევინების დაკისრების დროს აღმასკომის წერილობითი შეთანხმებით ამიერკავკასიის რკინის გზების სამმართველოსთან უნდა დაწესდეს ამ აგენტებისათვის შემოსულ გადასახადის ჯამიდან ჯილდო, რომლის რაოდენობაც უნდა იყოს არა მეტი შემოსულ ჯამის 5 პროც.-სა.

§ 12. გასაგზავნ ტვირთზე გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს გამგზავნისაგან ამ ტვირთის მიღების დროს იმ უფლების უქონლად, რომ გადასახადი გასტუმრებულ იქნეს ტვირთის დანიშნულების სადგურში ან ნავთსადგურში, ხოლო შემოტანილ ტვირთზე უნდა გადახდეს მიმღების მიერ ამ ტვირთის გამოსყიდვის დროს. იმ ტვირთზე, რომელიც მოუკითხავი არ იქნება დანიშნულების სადგურზე, ან ნავთსადგურში და შემდეგ აუქციონით გაიყიდება, ადგილობრივი გადასახადი გადახდევინებულ უნდა იქნეს აუქციონიდან მიღებულ ფულიდან სარკინიგზო, ან საზღვაო უწყების კუთვნილი ფულის ჯამის დაფარვის შემდეგ.

§ 13. იმ შემთხვევაში, თუ გასაგზავნად მიღებული ტვირთი უკან მოიკითხეს, ან გაიტანეს სადგურიდან, ან ნავთსადგურიდან, ამ ტვირთზე გადახდევინებული გადასახადი უკან აღარ უნდა დაუბრუნდეთ.

§ 14. ადგილობრივ გადასახადის გამოანგარიშების წესი, რომელიც შეეხება ტვირთის [illegible], ფასების ჯამის დამრგვალებას, ჯამების გამოყვანას და საერთოდ სატარიფო მუშაობის ტექნიკას, ექვემდებარება ტარიფთა გამოანგარიშების საერთო წესებს.

§ 15. გადასახადის გასტუმრებაზე ქვითარი ეძლევათ ყდიან საქვითრო წიგნაკებიდან, რომელსაც წინასწარ უგზავნიან გადასახადის დამწესებელი დაწესებულებანი.

შენიშვნა: ტვირთის დოკუმენტებში აღებულ ადგილობრივ გადასახადის ჯამები და გადასახადთა გრაფა არ აღინიშნება, ხოლო მის ნაცვლად შტამპით, ან ხელით ნიშანი იქნება [illegible] ადგილობრივი გადასახადი რაოდენობით. მან. კაპ. გამორთმეულია [illegible]

(დასასრული იქნება)

ა|ქ. ფინანსთა სახალხო კომისარი **თუმანოვი.**

ა|ქ. ფინ. სახ. კომის. კოლეგიის წევრი **გრქომაიშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიონში მუშაობის გამოსაკვლევათ გაწვეული არიან ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები, რომლებიც მოვალენი არიან გამოცხადდენ ოთხშაბათს, ნაშუადღევის 2 საათზე მესამე რაიონული კომიტეტის შენობაში (ქავთის ქ. № 1 მესამე სართული) ინსტრუქციების მისაღებათ.

1. მიხაილოვი, 2. გუსეინოვი, 3. ვრქომაიშვილი, 4. ტალიბლი, 5. ფრანგულიანი, 6. ვირაპი, 7. მინასიანი, 8. შავერდოვა, 9. ადამიძე, 10. რასულზადე, 11. ნინა ალაჯალოვა, 12. ამო არუტიუნოვი, 13. სტეფანე სტეფანოვი, 14. ივანიანი, 15. ხუხიშვილი, 16. კოსტანიანი, 17. ბალტინი.

— ყველა კომუნისტებს, რომლებიც 1 მაისისათვის გაგზავნილნი იყვნენ ტფილისის მაზრის რაიონებში, წინადადება ეძლევათ, წარმოადგინონ წერილობითი ანგარიში სამაისო კამპანიის ჩატარების შესახებ ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილებაში, სამი დღის განმავლობაში.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების გამგე ს. დალნაია.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფ. კომიტეტი წინადადებას აძლევს ამხ. **გიორგი გარსევანიშვილს**, სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს ტფილისის კომიტეტის სამდივნოში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

— საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-IV-ე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება აცნობებს მე-IV-ე რაიონის პარტიული სკოლის მსმენელებს, რომ მეცადინეობა სკოლაში დროებით შეწყვეტილია, რადგანაც პარტიის ყველა წევრები და კანდიდატები ვალდებული არიან გაიარონ 96 საათის სამწყობრო კურსი საგანგებო დანიშნულების ნაწილებში. პარტიულ სკოლაში მეცადინეობის დაწყების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მე-IV-ე რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე: არუტანოვი.

პროფესიონალური.

— შაბათს, 9 ივნისს, საღამოს 7 საათზე—ხრისტოლიუბოვის მოხსენება: „მასწავლებელთა მომზადება და ხელმეორე მომზადება“.

— ხუთშაბათს, ივნისის 7, საღამოს 7 საათზე—მოხსენება კალანტაროვისა—დეფექტურ ბავშვებზე მუშაობის შესახებ.

სახლის გამგე: შიუკაშვილი.

განცხადებები

ალექსანდრა სიმონის ასული, გიორგი კონსტანტინეს ძე აბულიდიანი და ლუბა სიმონის ასული კახუთელიძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს თავის საყვარელი და ძვირფასი

მარუსია კახეთელიძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან (სოლოლაკის ქ. № 10) ნიკოლოზის სასაფლაოზე ა. | წ. 7 ივნისს, დღის 12 საათზე.

ს. ს. მ. ს. პოლიგრაფიულ განყოფილება
ა. წ. 4 ივნისიდან
გადააქვს
თავისი სამმართველო კრუზენშტერნის ქ. № 4-დან რუსთაველის პროსპექტზე № 27, ყოფილი „ევროპიული ნომრები“.
435 5—4

შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმი
ამით აცხადებს, რომ მიმდინარე წლის იანვარში მოწვეულ ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოების არა ჩვეულებრივი საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია ამა წლის ივნისის 18-ში ქალაქ ჭიათურაში.
762 2—1 პრეზიდიუმი.

სასურსათო კომისარიატის
თევზეულობის
მაღაზია
პუშკინის ქუჩა, № 4.
იყიდება უმაღლესი ხარისხის ხიზილალა გირვანქა 600 ათასი მანეთი. თითო მყიდველს მიეცემა მხოლოდ ორი გირვანქა.
აგრეთვე იშოვება: ზურგიელი, დოში, ჯარიმი ორაგულისა და ლოქოსი.
3—3—433

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
[illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
საავადმყოფოს სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელობით. ტფილისი, კოროლენკოს ქ. № 20. (501—25—18)

ძ. თბილისის 1 უბნის სახალხო სასამართლო
ამით აცხადებს, რომ 1923 წ. მაისის 25-ს მის დადგენილებით დამტკიცდა აღსასრულებლად გარდაცვალებულის ვლადიმერ სტეფანეს ძე შატბერაშვილის ანდერძის წერილი შედგენილი 1920 წ. ნოემბრის 2 დღესა.
761 1—1 სახალხო მოსამართლე: თოთრაშვილი.

ჭიათურის უბნის სახალხო მოსამართლე
იწვევს თავის კამერაში, ქ. ჭიათურაში, ლაზარე ფეოფილაქტის ძე ფეოფილაქტოს, საქმეზე ძიებისა გამო არტაშეს ვართანიანისა. მასთან ორი ათასი მანეთის ოქროში—შესახებ, ორი თვის განმავლობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნება გამოტანილი დაუსწრებელი განაჩენი.
763 1—1 ჭიათურის უბნის სახალხო მოსამართლე ი. კაპანაძე

დაიკარგა ნავთის ვაჭრობის ნებართვა მიხეილ ასლანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა საბინაო დავთარი მე-9 რაიონის ლიუტერანის ქუჩ. № 28 სახლი სტეფანიძისა. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა სახლის წიგნი, კიკნაძის ქუჩაზე მდებარე ი. ჯალაღოვის სახლისა № 11. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დაიკარგა სახლის წიგნი ნავთლუღში, სოლოლოვის ქუჩაზე მდებარე ამირან კახაბრიშვილის სახლისა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა სახლის წიგნი ქვიშენის მისახვევში მდებარე სამაგულიანის სახლისა № 15. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. ხ. 90ე [illegible]

საქართველოს სახელმწ. [illegible]